პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის. ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 19 (20665) — სამშაბათი, 23 იანვარი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

მ. ს. გორბაჩოვის მიმართვა

გარემოს დაცვისა და გადარჩენის მიზნით განვითარების გლობალური ფორუმის მონაწილეებს

ჩვენო პატივცემულო სტუმრებო! ქალბატონებო და ბატონებო! ამხანაგებო! ხუთი დღე, თქვენ რომ გაატარეთ აქ, მოსკოვში, ინტენსიური შემოქმედებითი ურიერთობის ატმოსფეროში, თქვენ შინაარსიანი დისკუსიები, თქვენს მიერ მიღებული დოკუმენტები საფუძველს მაძლევს ვთქვა: გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი კაცობრიობის ეკოლოგიური თვითშეგნების ფორმირების გზაზე და ეს უადრესად აქტუალურია.

სამხედრო თერმობირთვული კატასტროფის საფრთხეს ადრე მივხვდით. მეცნიერებმაც შეიტანეს ამაში ფასდაუდებელი წვლილი. ამ საფრთხის თავიდან აცილებლად უკვე დარაზმული არიან ყველა დონის საერთაშორისო ძალები — პოლიტიკური, დიპლომატიური, საზოგადოებრივი. პირველი შედეგებიც გვაქვს. მაგრამ გვმუქრება მეორე საფრთხე, რომლის შეფასება ბოლო დრამდე აშკარად არ იყო მისი მნიშვნელობის ადეკვატური — დედამიწაზე არსებობის გარემოს დაზიანების შედეგად საფრთხე ემუქრება სიცოცხლეს.

წარსულის დიდი მეცნიერები ჭვრეტდნენ ადამიანის მიერ ბუნების უგუნური „დაპყრობის“ შედეგებს. ისინი გვაფრთხილებდნენ: კაცის მოდგმამ შეიძლება თავი დაიღუპოს იმით, რომ ანადგურებს მცენარეულ და ცხოველთა სამყაროს, წამლავს დედამიწას, წყალს, ჰაერს. XX საუკუნის დამლევს უმწვავესი კრიზისი გვაქვს ადამიანს, საზოგადოებასა და ბუნებას შორის.

ემპირიულ კანტის პარაფრაზირებით შეიძლება დავამტკიცოთ: საბჭოთა სახელმწიფოების პოლიტიკაში და ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალუძდა შევიდა **ეკოლოგიური იმპერატივი.** იგი უპირობო ხასიათს მარტო იმიტომ როდი იძენს, რომ ბუნებას უკვე მიადგა ძნელად გამოსასწორებელი ზიანი. ახალმა მეცნიერულმა, ტექნიკურმა, ტექნოლოგიურმა რევოლუციამ, რომლის ყველა შედეგი ჯერ-ჯერობით არ ვიცით, შეიძლება ეს ზიანი შეუქცევადის ზღვარს გადააცილოს. ზოგიერთი აბსოლუტური პესიმისტისაგან განსხვავებით, ჩვენ არა ვართ ფატალისტები. მაგრამ დადგა გადაწყვეტის ჟამი — ისტორიული არჩევანის ჟამი. გონიერ ადამიანს კი არ აქვს ალტერნატივა, რადგან იგი არ არის განწყობილი თვითმკვლელობისათვის. კაცობრიობა წარმოადგენს ბიოსფეროს ნაწილს, ბიოსფერო კი ერთიანია.

ჩვენ საარსებო რესურსებს ვიქმნით ყოფილი ბიოსფეროების პროდუქციის ხარჯზე და არ უნდა დავივიწყოთ, რომ სუფთა წყალი, ჟანგბადი ატმოსფეროში, ნიადაგის პროდუქტიულობა ეკოსისტემის შემადგენელი ასიათასობით სახეობის მცენარის, ცხოველისა და მიკროორგანიზმის ურთიერთმოქმედების შედეგია. ეკოსისტემების მდგრადობა, ამის შედეგად კი გარემოს ხარისხი დამოკიდებულია ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და ბიოსფეროს წონასწორობის შენარჩუნებასა და დაცვაზე. თქვენმა ფორუმმა ერთმნიშვნელოვანი აზრი გამოთქვა: შემდგომი პროგრესის ფაქტორებში რაღაც უადრესად საფუძვლიანად უნდა შეიცვალოს. შეიცვალოს იმისათვის, რომ უზრუნველყოთ ადამიანის უმთავრესი უფლება — სიცოცხლის უფლება. ჩვენ ამ დასკვნას ვეთანხმებით.

უნდა ვაღიაროთ: საბჭოთა კავშირში პოლიტიკის დონეზე მხოლოდ ცოტა ხნის წინათ გაიგეს სათანადოდ ეკოლოგიური პრობლემის საარსებო მნიშვნელობა. თვალი დაგვიბიდა ომის საშიშროებამ. აქ, როგორც იტყვიან, ვერც ვერაფერს მიუმატებ, ვერც ვერაფერს დააკლებ. მაგრამ საქმე მარტო ეს როდია. რევოლუციის შემდეგ, როცა გავაჩაღეთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ჩვენ არ ვიყავით მდერეკილი იმისაკენ, რომ „მოვცდენილიყავით“ როგორც მაშინ ვვეჩვენებოდა, მეორხარისხოვანი საკითხების გულისთვის. და მით უმეტეს ჩვენი შეზღუდული სახსრები ამ მიზნებისათვის მოგვეზმარებინა. ქვეყნის მასშტაბი, მისი სიმდიდრე გვბიძგებდა ასეთი ეკოლოგიური დაუდევრობისაკენ.

მაშინაც კი, როცა გარემოს გაჭუჭყიანებამ მთელ რიგ რაიონებში სახიფათო მასშტაბი მიიღო, უმალ არც მაშინ შეგვიფასებია ეს ჯეროვნად. ეკოლოგიური განგაში ატეხეს — მათ სასახელოდ უნდა ითქვას — ჩვენმა მეცნიერებმა, შემდეგ კი ჩვენმა საზოგადოებრიობამ. გარდაქმნამ, რომელმაც შეცვალა თვით ფილოსოფიური მიდგომა საზოგადოების განვითარების პრობლემისადმი, ძირფესვიანად შეგვიცვალა შეზედულება ეკოლოგიაზეც. ამას წინათ ჩვენში გამოქვეყნდა საფუძვლიანი მოხსენება ეროვნული ეკოლოგიური სიტუაციის შესახებ, რომელიც პირველია საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში. ამ „მწვანე წიგნში“ მიუკერძოებლად არის გაანალიზებული ჩვენი უბედურება და საშიშროება. მთელი რიგი დიდი ქალაქების თავზე ატმოსფეროს გაჭუჭყიანება აღემატება დაშვებულ დონეს. წყლის რესურსების მდგომარეობა ისეთია, რომ შეიძლება მძიმე შედეგები მოუტანოს მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, მიმდინარეობს ნიადაგის დეგრადაცია, ირყევა ადამიანების ჯანმრთელობა, სათუო ხდება მომავალი თაობების სრულფასოვნება.

სახალხო დეპუტატთა პირველმა ყრილობამ „სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესახებ“ დადგენილებაში განსაზღვრა, რომ ღრმად უნდა გადაისინჯოს მთელი ჩვენი განვითარება, მათ შორის ჩვენი დამოკიდებულება ბუნებისადმი დასახა ჩვენი პოლიტიკის ეკოლოგიზაციის კურსი, როგორ გვესმის ეს?

ეს, უწინარეს ყოვლისა, საწარმოო საქმიანობის სახეობის ძირეული შეცვლაა მისი ეკოლოგიური შედეგების თვალსაზრისით. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ტერიტორიების ეკოლოგიური ტევადობა სამეურნეო კომპლექსების განლაგების დროს. უნდა შეეუფარდოთ ცალკეული რეგიონების ეკოსისტემათა შესაძლებლობანი შესაბამის სახალხო-სამეურნეო გეგმებს, გავიფვალისწინოთ ეს დემოგრაფიულ, რეგიონალურ და ეროვნულ პოლიტიკაში. საქმე ეხება, რა თქმა უნდა, ბუნებისდაცვითი ღონისძიებების თანამიმდევრულ და მკაცრ გამოყენებას, თვით ტექნოლოგიასაც, რომელსაც ვიყენებთ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ენერგომომარაგებასა და რესურსდაზოგვას, უნარჩენო ტექნოლოგიების წარმოებების დანერგვას.

პოლიტიკის ეკოლოგიზაცია ახალი შეხედულებაა მოხმარების პრობლემაზე, მისი რაციონალიზაციაა. ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლება ბუნების გამოფიტვის ხარჯზე როდი უნდა მიმდინარეობდეს, მას თან უნდა სდევდეს ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს არსებობის პირობების შენარჩუნება და განახლება.

პოლიტიკის ეკოლოგიზაცია ეხება მრავალი ისეთი ხოცოლაური ამოცანების გადაწყვეტისადმი მიდგომასაც, რომლებიც დაკავშირებულია უწინარეს ყოვლისა უკვე გარემოს გაჭუჭყიანების შედეგად ადამიანების ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანთან.

პოლიტიკის ეკოლოგიზაცია ნიშნავს მეცნიერული კვლევის ბიოსფეროსა და მისი ეკოსისტემის შემსწავლელი ფუნდამენტური დისციპლინების **მაქსიმალურ ხელშეწყობას.**

პოლიტიკის ეკოლოგიზაცია — ეს არის საკაცობრიო ღირებულებების პრიორიტეტის დამკვიდრება, განათლებისა და აღზრდის ეკოლოგიური შინაარსით შეიხება ბავშვობის ასაკიდანვე. ბუნებისადმი ახალი, თანამედროვე დამოკიდებულების ფორმირება. ამასთან ერთად ადამიანისათვის იმ აღქმის დაბრუნება, რომ ბუნების ნაწილს წარმოადგენს. უამისოდ წარმოდგენელია საზოგადოების მორალური გაჯანსაღება.

ჩვენ უკვე შევუდექით ქვეყანაში ბუნების დაცვის მთელი საქმის ძირეულ გარდაქმნას. დამტკიცებულია ან მუშავდება მიზნობრივი პროგრამები რეგიონებისა და ობიექტების მიხედვით. სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „ქვეყნის ეკოლოგიური გაჯანსაღების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“. მთავრდება მუშაობა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამის პროექტზე. იგი ითვალისწინებს, რომ ორი ათასი წლისათვის ეტაპობრივად მივაღწიოთ (ცალკეული პარამეტრების მიხედვით — 2005 წლისათვის) გარემოს ნორმატიულ ხარისხს, დავიცვათ ბიოლოგიური რესურსების სახეობითი მრავალფეროვნება, მოვიპოვოთ ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებული მაჩვენებლები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უდიდესი შრომა უნდა გავწიოთ ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის ჰარმონიზაციის საქმეში. ამაში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა — საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ორგანოებმა, მეცნიერებამ და განათლებამ, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და მოძრაობებმა, ინდივიდუალურმა ინიციატივამ.

ბუნების დაცვაში საზოგადოებრივმა მოძრაობებმა ჩვენს ქვეყანაში დიდი გაქანება პოვა. მათ, უნდა ითქვას, მძლავრი დარტყმა მიაყენეს ტექნოკრატიულ გაუგებრობასა და წინააღმდეგობას ამ დარგშიც. თუმცა ზოგჯერ ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, ჩვენი „მწვანეების“ გამოსვლები გადაჰაჭრებულია. რაკი მგზნებარედ ვიცავთ ბუნებას, არ უნდა ხელვყოთ მოსახლეობის ცხოვრების უზრუნველყოფის სისტემები. უბრალოდ ამა თუ იმ საწარმოს დახურვა რა თქმა უნდა იოლი საქმეა. თუმცა ზოგჯერ ამასაც მივმართავთ იმის გამო, რომ პრობლემა ხელმიშვებულია. მაგრამ ძირითადად ბუნების ხსნის საქმისადმი ასე ხელოვნებით მიდგომა ბევრს ვერაფერს მოგვცემს, საზოგადოების საწარმოო ძალების და, მაშასადამე, თანამედროვე დონეზე ბუნების დაცვის შესაძლებლობათა განვითარებას კი შეიძლება უდიდესი ზიანი მიაყენოს.

რა ოპტიმალური გამოსავალია აქ? საწარმოო ძალების, ენერგეტიკული და საერთო-სახელმწიფო ინფრასტრუქტურის ახალ ობიექტების გონივრულ განლაგებას საფუძვლად უნდა ედოს აგრეთვე ეკოლოგიური უსაფრთხოების აუცილებელი მოთხოვნაც და ამასთან ერთად მიუკერძოებელი მეცნიერული ექსპერტიზა, თუ საჭიროა იქნება, საერთაშორისო ექსპერტიზაც კი.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ მზარდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს, რესპუბლიკური და სხვა საბჭოების კონტროლს ნებისმიერი პროგრამების განხორციელებისადმი, რომლებიც ეხება საზოგადოების ეკოლოგიურ განწყობილებას.

მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ასეთ მომენტსაც. ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის ტერიტორიაზე გვაქვს ხელუხლებელი ეკოსისტემებიც. ამასთან დაკავშირებით დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ნაკრძალების და სხვა დაცული ტერიტორიების შექმნას. მათი ფართობი 2000 წლისათვის დაახლოებით ერთისამად უნდა გაზარდოს. ეს არის უნიკალური ბუნებრივი ლაბორატორიები, რომლებიც განლაგებულია არქტიკის კუნძულებიდან კავკასიამდე და შუა აზიამდე. ეს ტერიტორია შეიძლება გახდეს ხელუხლებელი ბუნების ეტალონი და ეკოლოგების საერთაშორისო თანამშრომლობის ობიექტები.

ბატონებო!

სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარი ეკოლოგიური სიტუაცია იქმნება. ბუნებისდაცვითი საქმიანობის საინტერესო გამოცდილება ბევრს აქვს. ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმით, რომ ნებისმიერი წარმატებული გამოცდილება საერთო უურადღებას იმსახურებს და იგი კონკრეტულად უნდა იქნეს გამოყენებული. ეკოლოგიური კრიზისი, რომელსაც განვიცდით, დამჯერებელი, თუმცაღა ტრაგიკული დადასტურებაა იმისა, რომ მსოფლიო მართლაც ურთიერთდაკავშირებული, ურთიერთდამოკიდებულია. ამას თითქოს ახლა ყველგან აღიარებენ.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ საჭიროა **შესაბამისი საერთაშორისო პოლიტიკა ეკოლოგიის სფეროშიც.** მხოლოდ ასეთი პოლიტიკით, ეკოლოგიურ ერთად შეგძლებთ ტრაგედიის თავიდან აცილებას. რა თქმა უნდა, ასეთი პოლიტიკა უჩვეულო და რთულ საკითხებს წამოჭრის, რომლებიც ზოგჯერ სახელმწიფო სუვერენიტეტს ეხება. და მაინც, ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება. მაგრამ მხოლოდ კოლექტიური ძალისხმევისა და კონსენსუსის ძიების საფუძველზე. თქვენს ფორუმზე ბევრი რამ საინტერესო ითქვა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ჩამოყალიბდეს მსოფლიო ეკოლოგიური პოლიტიკა. ჩვენ ყველა ნათქვამს გავიზიარებთ. მინდა დაგარწმუნოთ ამაში. საბჭოთა კავშირი ძირითადად ემხრობა ბიოსფეროს ხსნისა და მისი სასიცოცხლო ძალების აღდგენის საერთაშორისო პროგრამის ენერგიულ და გადაუდებელ შემუშავებას. მოგახსენებთ, ამ საკითხის გამო ჩვენს ძირითად იდეებს.

პირველი. საბჭოთა კავშირი მტკიცედ უჭერს მხარს ჩვენი მსოფლიო უნივერსალური გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი ორგანოების ბუნებისდაცვით გეგმებს და მოქმედებას, ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ უმაღლეს დონეზე მოეწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოსა და განვითარების კონფერენცია, რომლის გამართვა დასახულია ბრაზილიაში 1992 წლისათვის. (ტაში). ალბათ სწორი იქნება, თუ მასზე დაისმება **ეკოლოგიური ეთიკის საერთაშორისო კოდექსის** შემუშავების საკითხი. ყველა სახელმწიფოსათვის სავალდებულო ეს კოდექსი შეიცავს ბუნებისადმი ცივილიზაციული დამოკიდებულების ერთიან კრიტერიუმებს. ასეთი აქცია სიმბოლურად გამოხატავს იმას, რომ მსოფლიო გაერთიანება თავისი უმაღლესი წარმომადგენლების სახით მზად არის ახალი კანონებით აშენოს ცხოვრება XXI საუკუნეში. 1992 წლის კონფერენციამ შეიძლება მიიღოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების მიზნით **გლობალური სამოქმედო პროგრამაც.** იგი უნდა მოიცავდეს დედამიწის კლიმატის დაცვას, პლანეტის ფლორისა და ფაუნის, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას, ურომლისოდაც შეუძლებელია ბიოსფეროს მარეგულირებელი თვისებების, და მაშასადამე, დედამიწაზე თვით სიცოცხლის შენარჩუნება.

მეორე. საბჭოთა კავშირს საჭიროდ მიაჩნია შემუშაოს პლანეტარული მნიშვნელობის მქონე **უნიკალური ბუნებრივი ზონების დაცვის** საერთაშორისო-სამართლებრივი **რეჟიმი.** ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება ანტარქტიდას. მრავალი მეტრი სისქის ანტარქტიკული ყინული დედამიწის წარსულის, მისი გეოლოგიური და ეკოლოგიური ისტორიის ფასდაუდებელი საცავია. აღსანიშნავია, რომ ანტარქტიდა გახდა მსოფლიოში პირველი უბინოვო ზონა და პლანეტაზე პირველი ტერიტორია, რომელიც მთლიანად კარგახსნილია საერთაშორისო მეცნიერული კვლევისათვის. საბჭოთა კავშირში იზიარებენ ანტარქტიდის ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაციის გამო მრავალი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის შეშფოთებას. შვილიშვილები არ გვაპატიებენ, თუ არ დავიცავთ ამ ფენომენალურ ეკოსისტემას. სსრ კავშირი მზად არის მონაწილეობა მიიღოს ანტარქტიკის — მსოფლიო ნაკრძალის, ჩვენი საერთო ბუნებრივი ლაბორატორიის სიცოცხლის უზრუნველყოფაში. (ტაში).

დუნაის, შავი და ხმელთაშუა ზღვების პრობლემა. დუნაიდან შავ ზღვაში შედის გაჭუჭყიანების 75 პროცენტი. ბოლო ათწლეულების მანძილზე მასში გოგირდწყალბადის ფენის ზედა საზღვარმა 200 მეტრის სიღრმიდან 75 მეტრამდე ამოიწია. კიდევ ცოტა და ბოსფორის სრუტის მეშვეობით იგი გადავა მარმარიოს, ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვებში. ამავე დროს შავი ზღვის საკითხის გამო შეთანხმებებში მონაწილეობენ მხოლოდ ბულგარეთი, რუმინეთი, თურქეთი და სსრ კავშირი. შეგვიძლია კი გადავჭრათ შავი ზღვის პრობლემა მხოლოდ დნეპრის, დნესტრის, აზოვის გაწმენდით უდუნაოდ, უიმქვეყნეზოდ, რომლებიც მდებარეობენ ამ მდინარის მთელ გაყოლებაზე? შეიძლება კი გადაიჭრას ხმელთაშუა ზღვის დაცვის პრობლემა, თუ მასში მონაწილეობას არ მიიღებენ შავიზღვისპირეთის ქვეყნები, სსრ კავშირი? დადგა დრო ამაზე ყველამ ერთად ვიფიქროთ.

განა საყოველთაო ზრუნვა არ სჭირდება კაცობრიობის ისეთ „ეკოლოგიურ მემკვიდრეობას“, როგორიც არის ტროპიკული ტყეები, მარჯნის რიფები? ან ისეთი განუმეორებელი ბუნებრივი მოვლენები, როგორიც არის ბაიკალი?

მესამე. საბჭოთა კავშირს მომზიდველად მიაჩნია საკითხი იმის შესახებ, რომ შეიქმნას ბუნების დაცვის **ტექნოლოგიური თანამშრომლობის საერთაშორისო მექანიზმი.** მსოფლიო ცივილიზაციის მთლიანობა მოითხოვს მოქმედების ერთიანობას ამ დარგშიც. ჩვენ მომხრე ვართ, რომ შევიმუშაოთ ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების საერთაშორისო გაცვლის სისტემა, რომელიც ეფექტიანად უზრუნველყოფდა იმას, რომ ისინი ხელმისაწვდომი გამხდარიყო ყველა ქვეყნისათვის — რაიმეს ამოუღებლად — უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმში. ამასთან მზად ვართ დავუშვათ ინსპექცია მთელ ჩვენს ტერიტორიაზე იმისათვის, რომ მოხსნას ყოველგვარი ეჭვი არადანიშნულებისამებრ ტექნოლოგიის გამოყენების თაობაზე.

ამიტომ ვიზიარებ აქ გამოთქმულ წუხილს იმის გამო, რომ მოსკოვის ამ შეხვედრაზე ცოტანი იყვნენ საქმიანი სამყაროს წარმომადგენლები. ეს ნაკლი შემდეგ შეხვედრებზე უნდა დავძლიოთ. (ტაში). ვიმედოვნებ, რომ დოკტორი ჰაქერი ახლანდელი და მომავალი შეხვედრების დამაკავშირებელი რგოლი გახდება. ჩვენ კი მას დღეგრძელობას ვუსურვებთ.

მეოთხე. XXI საუკუნის შესაფერისი თანამშრომლობის ახალ ფორმებზე გადასვლა დღის წესრიგში აყენებს იმას, რომ უნდა გვქონდეს **ეკოლოგიური მონიტორინგისა და კონტროლის** საერთაშორისო **მექანიზმი.** დღეს ეკოლოგიური ნდობის ღონისძიებები შეიძლება დაემყაროს იმათ ანალოგიურ მეთოდიკებს, პროცედურებსა და ხელსაწყოებს, რომლებსაც იყენებენ შეიარაღების შემცირებისადმი კონტროლის, მათ შორის ადგილებზე ინსპექციის საქმეში. შეიძლება დავიწყოთ ეროვნული ნაკრძალების გახსნით.

მეხუთე. ჯანსაღი გარემოს უფლება ადამიანის ერთ-ერთი უფლებაა. (ტაში). მაგრამ უზრუნველყოფილი უნდა იყოს **ეკოლოგიური პოლიტიკის შემუშავებაში ცალკეული პიროვნებისა და ადამიანთა ჯგუფების მონაწილეობის უფლება.** საბჭოთა კავშირი იზიარებს საერთოევროპული პროცესის მონაწილე სახელმწიფოთა სოფიის ეკოლოგიური თათბირის ამ დასკვნას. იგი გულისხმობს ეკოლოგიური ინფორმაციის სისრულესა და უტყუარობას. საჭიროა წესიგი, რომელმ დროს თითოეული სახელმწიფო რეგულარულ საფუძველზე წარმოადგენდა ანგარიშებს თავისი ბუნებისდამცავი საქმიანობის, იმ ეკოლოგიური ინციდენტების შესახებ, რომლებიც მოხდა და რომელთა თავიდან აცილებაც მოხერხდა.

ახლა ევროპის გაერთიანებათა მონაწილე ქვეყნები აქტიურად განხილავენ ევროპის **ბარომის საagენტოს** ორგანიზაციისა და ფუნქციების საკითხებს. საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს საagენტოს შექმნის იდეას და მზად არის თავიდანვე შეუერთდეს მის მუშაობას. უურადღებას იმსახურებს იდეები, მაგალითად, ავსტრიის წინადადება იმის შესახებ, რომ შეიქმნას ბუნების დამცველთა საერთაშორისო ორგანიზაციის „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მწვანე ჩაჩქნები“. იქნებ მართლაც ღირდეს შეიქმნას ერთგვარი საერთაშორისო „მწვანე ჯვარი“, რომელიც დაამარცხებ გაუწევდა სახელმწიფოებს ეკოლოგიურ უბედურების შემთხვევაში. (ტაში). სსრ კავშირის წინადადება, იმის თაობაზე, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან შეიქმნას სასწრაფო ეკოლოგიური დახმარების ცენტრი, სწორედ ამ მიმართულებისაა.

ცენტრის მთავარ ამოცანად მიგვაჩნია შეიქმნას ექსპერტთა საერთაშორისო ოპერატიული ჯგუფები, რომლებიც ჩავლენ ხოლმე ეკოლოგიური ვითარების მკვეთრი გაუარესების ადგილებში. მალე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გავუგზავნით საბჭოთა მეცნიერთა და სპეციალისტთა სიას, რომელთაც სსრ კავშირის მთავრობა თავიანი ხარჯით მიავლენს ადგილებზე ცენტრის მითითებით.

მეექვსე. როგორც იტყვიან, ბოლო საკითხია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი. საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ დადგა დრო, როცა **სამხედრო საქმიანობის შეზღუდვა საჭიროა არა მარტო ომის საშიშროების შემცირებისათვის, არამედ იმის გამოც, რომ შევინარჩუნოთ გარემო.** ყველაზე სწორი და გადამწყვეტი ნაბიჯი იქნება აქ ბირთვული გამოცდის სრული აკრძალვა. (ტაში). თქვენნი ავტორიტეტიანი საერთაშორისო ფორუმის წინაშე კვლავ ვაცხადებ, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის ნებისმიერ მომენტში მთლიანად და სამუდამოდ შეწყვიტოს ბირთვული გამოცდები, თუ ამას იზამს აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატები. (ტაში).

ქიმიური იარაღის აკრძალვისა და სრული ლიკვიდაციის შესახებ კონვენციასთან დაკავშირებით, რომელსაც იმედია მალე მოვაწერთ ხელს, საჭირო გახდება ამ მოცანის განხორციელების ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიები. აქაც სასურველია საერთაშორისო თანამშრომლობა. ჩვენ ხომ მოგვიწევს ათიათასობით ტონა ამ საშინელი იარაღის მოსპობა. და საერთოდაც, სამხედრო საქმიანობა ხმელეთზე, ჰაერში, ზღვებში, ოკეანეებში, კოსმოსშიც კი უნდა წარვმართოთ ეკოლოგიური შედეგების გათვალისწინებით. ამ მიზნით ვაპირებთ განვახორციელოთ გარკვეული შეშზღუდული ღონისძიებანი სამხედრო ავიაციის ფრენის, საზმელეთო ჯარებისა და სამხედრო ხომალდების გადადგილების მიმართ. მზად ვართ ამის შესახებ დავდოთ საერთაშორისო მორიგებებიც.

პატივცემულო ბატონებო, მეგობრებო!

ხშირად ხდებოდა ისე, რომ ამა თუ იმ ტერმინების შექმნისას ჰქონდათ ერთი აზრი, მაგრამ შემდეგ, დროთა განმავლობაში, ისინი ახალ შინაარსს იძენდნენ. ასე მოუვიდა თვით ტერმინს „ეკოლოგიას“, რომელიც, XIX საუკუნეში იშვა, როგორც წმინდა მეცნიერული ცნება, დღეს კი მან ჩვენთვის საბედისწერო ხასიათი შეიძინა. ასე მოუვიდა „ბიოსფეროს“ ტერმინსაც, რომელიც აგრეთვე XIX საუკუნეში გაჩნდა. დიდი რუსი მეცნიერის ვლადიმერ ივანეს ძე ვერნაცკის შრომებში კი ამ ცნებას ახლებური ახსნა აქვს. მან შექმნა მოძღვრება ბიოსფეროზე და კაცობრიობის არსებობის მთელი გარემოს გარდაქმნის პრობლემა დააყენა გონების ბატონობის სფეროში.

დასასრულ მინდა გითხრათ: ყველაფერი, რაც ითქვა თქვენს ფორუმზე, მისი დოკუმენტები მოგვიწოდებენ მეცნიერული ცოდნის, ჰუმანური გონებისა და საკაცობრიო მორალის ერთიანობის გამარჯვების უზრუნველყოფისათვის. ამოცანა იმდენად დიდებულია, რამდენადაც ძნელი. გისურვებთ ყველას წარმატებას. (ტაში).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის

მ. ს. გორბაჩოვის

გამოსვლა ცენტრალური ტელევიზიით

ამხანაგებო! ჩვენ ყველანი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ხანგრძლივი ეროვნებათშორისი კონფლიქტის მოწმენი ვართ. ჩვენ ყველას სერიოზულად გვაშფოთებს, რომ აქ წარმომობილი დაძაბულობა არათუ არ ნელდება, არამედ დროდადრო მწვავდება და ყოველთვის მძიმე შედეგებს იწვევს.

ამ ბოლო ორი წლის მანძილზე ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები ესწრაფვოდნენ მოთმინებით, აწონ-დაწონილად ემოქმედათ თავის მხრივ, ცდილობდნენ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი პოლიტიკური საშუალებებით გადაეჭრათ არცთუ მარტივი პრობლემები.

ამხანაგური დიალოგი, მსჯელობანი სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, მთავრობაში, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ჩასვლა, არაერთგზისი შეხვედრები მოსკოვში ორივე რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან, დეპუტატებთან — ყველაფერი იყო გამოყენებული ერთი მიზნით — მიგვეღწია თანხმობისათვის, აღგვედგინა კეთილმეზობლური და უბრალოდ ადამიანური ურთიერთობა, გამოგვენახა გამოსავალი შექმნილი ჩიხიდან და, საბოლოო ანგარიშით, ნორმალური გაგვეხადა მდგომარეობა მთიანი ყარაბაღის ირგვლივ.

ვმოქმედებდით რა ასე, ჩვენ ვხელმძღვანელობდით რწმენით, რომ ძალმომრეობას, მტრობას, კონფლიქტის განგრძობას ,,ფარგი არაფერი არ მოჰყვება, მხოლოდ კიდევ უფრო მოწამლავს ვითარებას, გამოიწვევს კიდევ უფრო მეტ მსხვერპლს, კიდევ უფრო მეტ ძალმომრეობას.

სამწუხაროდ, ორივე რესპუბლიკის პარტიულმა და საბჭოთა სახელმწიფო ორგანოებმა ამ პირობებში ვერ გამოიჩინეს სათანადო პასუხისმგებლობა და თავშეკავება, არცთუ იშვიათად კი თამობდნენ პრინციპულ პოზიციებს ნაციონალისტურ დაჯგუფებათა ზეგავლენით.

ასე მოხდა ამ ბოლო დროსაც, როცა სომხეთის სსრ 'უზენაესი საბჭოს და აზერბაიჯანის სსრ უზენაესი საბჭოს სესიებზე მიღებეს გადაწყვეტილებანი, რომლებიც ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კონსტიტუციას. მათ არათუ ხელი არ შეუწყეს ვითარების ნორმალიზაციას, არამედ, პირიქით, გაამწვავეს იგი, გააძლიერეს კონფრონტაცია.

არც ერთმა, არც მეორე მხარემ ყურად არ იღო გონების ხმა მამინაც, როცა იგი განსაკუთრებული ძალით გაისმა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა II ყრილობის ტრიბუნიდან.

სწორედ ამ სიტუაციით ისარგებლეს ანტისაზოგადოებრივმა, ანტიხალხურმა ელემენტებმა მტრობის შემდგომი გაღვივებისა და კონფლიქტის გამწვავებისათვის. დაიწყო შეიარაღებული შეტაკებანი, განსაკუთრებით საზღვრისპირა რაიონებსა და ერთობლივი ბინადრობის ადგილებში.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ამა წლის 15 იანვარს იძულებული იყო მიეღო ბრძანებულება მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში და აზერბაიჯანისა და სომხეთის ზოგიერთ სხვა რაიონში საგანგებო წესების შემოღების შესახებ.

თითქოსდა, ასეთ ღონისძიებას უნდა შეეჩერებინა ძალმომრეობა, გონს მოეყვანა ექსტრემისტები, სახალხო ფრონტების ლიდერები, რომლებმაც საკუთარი ხალხები ქაოსისა და ტახჯვა-ვაების მორევში ჩაითრიეს.

მაგრამ გონიერების ხმა, საბჭოთა საზოგადოებრიობის, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ხმა ამჯერადაც უგულებელყოფილი იყო.

დიალოგისათვის, თანხმობისათვის, შემწყნარებლობისათვის მოწოდებანი უყურადღებოდ დარჩა.

უფრო მეტიც, აგრესიულად განწყობილი ნაციონალ-კარიერისტები განაგრძობდნენ ვითარების დაძაბვას, ექსტრემისტთა რაზმების ფორმირებას, დაიწყეს გზების და აეროპორტების ჩაკეტვა. გახშირდა თავდასხმები სამხედრო მოსამსახურეებზე, იარაღის საწყობებზე, სამართალდაცვითს ორგანოებზე.

განსაკუთრებით ტრაგიკული ხასიათი ამ ამბებმა შეიძინა ბაქოში: დარბევები, მკვლელობანი, რუსპუბლიკის ფარგლებს გარეთ თავიანთი საცხოვრებლებიდან სრულიად უდანაშაულო ადამიანების განდევნენ.

აზერბაიჯანის ექსტრემისტული ძალების მოქმედება სულ უფრო აშკარა ანტისახელმწიფოებრივ, ანტიკონსტიტუციურ და ანტიხალხურ ხასიათს იძენდა.

მთელ რიგ რაიონებში ძალადურად ჩამოაშორეს თავიანთი ფუნქციების შესრულებას ხელისუფლების კანონიერი ორგანოები, დაიჭრა მმართველობის სტრუქტურები.

ასობით კილომეტრ სახელმწიფო სასზღვარზე მოსპეს საინჟინერო-ტექნიკური ნაგებობანი. პრაქტიკულად არ მალავდნენ რესპუბლიკაში ხელისუფლების ძალით ხელში ჩაგდების ამოცანას.

ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. უდანაშაულო მსხვერპლთა მმართ ერთა თანაგრძნობასთან ერთად ქვეყანაში იზრდებოდა გულისწყრომა და აღშფოთება დანაშაულებრივი აქტების, სასტიკი ძალმომრეობისა და ვანდალიზმის, კანონების ფეხქვეშ გათელვის ფაქტების გამო.

საბჭოთა ადამიანებმა ქვეყნის ხელმძღვანელობას მოსთხოვეს განეხორციელებინა მტკიცე ღონისძიებანი კანონიერებისა და მართლწესრიგის ა

ზღვა თითქოს ჩვენია, მოგება კი...

ANU ხელიდან გაშვებული რეზერვები, რომელთა ამოქმედება და ხალხის სამსახურში ჩაყენება ძალზე სასიკეთოდ წაადგება სუვერენიტეტის გზაზე მდგარ რესპუბლიკას

ამ ბოლო ხანს რესპუბლიკის პრესაში გამოჩნდა პუბლიკაციები ზღვის სამრეწველო გამოყენების შესახებ, რაც, თუ საქართველოს დღევანდელ პრობლემებს და, მით უფრო, სამომავლო ამოცანებს გავითვალისწინებთ, მეტად საშური და მნიშვნელოვანი საქმეა.

რა დასამალია, რომ დღემდე ეს საკითხი ტაბუდადებულივით იყო და მხოლოდ საკავშირო ორგანოების სრულ კომპეტენციას ექვემდებარებოდა. ამნდს ვერ ქმნიდა პრობლემის წინ წამოწევის მიზნით რესპუბლიკის ცალკეული ორგანოებისა და დაწესებულებების დაქაქაჩული უნიათო ცდები, რაც თითქმის მუდამ რჩებოდა, ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

არადა, დღესდღეობით მსოფლიოში არ არსებობს მეტად თუ ნაკლებად განვითარებული საზღვაო ქვეყანა, რომელიც არ ცდილობდეს ბუნების მიერ ნაბოძები ამ აუწერელი სიმდიდრის საკუთარი ხალხის სამსახურში ჩაყენებას. ჩვენთან კი ზღვას უყურებდნენ ძირითადად იმ კუთხით, რომ ჩვენ გვაქვს საზღვაო პიწკრები, საიდანაც შემოდან, იცლებიან ან იტვირთებიან და გადიან გემები. დიახ, ქვეყნის საზღვაო ცხოვრების მხოლოდ ასეთი პრიმიტიული ასპექტი იყო შედარებით მეტი ყურადღების საგანი, დანარჩენი საკითხები კი სხვადასხვა საკავშირო და რესპუბლიკური უწყებებისა თუ ორგანიზაციების, ინტერესთა შეჯახებების პროცესში ჩაიკარგა.

შედეგიც ცუდია: საქართველოს დღემდე არ აქვს შავი ზღვის კომპლექსური ათვისების პროგრამა, რაც, ალბათ, იმის ბრალიც არის, რომ რესპუბლიკის სუვერენიტეტი (საკუთრება მიწაზე, წყალზე თუ ჰაერზე) ფაქტობრივად ფიქცია იყო.

რესპუბლიკაში ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებამ, ერის სატკივარისადმი ქვეყნის ნამდვილი პატრონის თვალით შეხედვამ ნათლად დაგვანახა ჩვენი ყოვლად გაუმართლებელი გულგრილობისა და სხვისწილ მოიმედეობის ცუდი შედეგი: სასიცოცხლო მნიშვნელობის მრავალ სფეროში დაშვებული შეცდომები და ხელიდან გაშვებული შანსები, ანუ ზღვაში გადაყრილი მილიონები. ამიტომ სანამ ჯერ კიდევ არ არის ძალიან დაგვიანებული, ყველამ, ვისაც მეტნაკლებად ხელეწოფება ეს, ერთად უნდა თქვას სათქმელი და აკეთოს საერთო საქმე. მაგრამ აქ განსაკუთრებით საჭიროა კარგად მოფიქრებული და მიზანსწრაფული მოქმედება, რათა არ დავუშვათ ნაჩქარევი, არამეცნიერული გადაწყვეტილებების მიღების და შესატყვისი მოქმედების შესაძლებლობა.

ამიტომაც საჭიროა ხსენებული პროგრამის შესადგენად და განხილვისეულების გზების დასასახავად რესპუბლიკაში არსებული სამეცნიერო ძალების მოზიდვა-კოორდინაცია.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, აწ უკვე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტად წოდებული და გარდაქმნილი, გვესახება ერთ-ერთ იმ ძალად, რომელიც ამ ეროვნული საქმის მნიშვნელოვანი ნაწილის მოგვარებას იტვირთავს. აქ არსებული სამეცნიერო და საკადრო პოტენციალი ამის გარანტიას იძლევა.

ქვემოთ ვეცდებით ზოგადად წარმოვაჩინოთ ის ძირითადი მიმართულებანი, რომლებიც, ჩვენი აზრით, უნდა აისახოს მომავალ პროგრამაში, და რომლის გარკვეული ნაწილის გადაწყვეტასაც, შესაძლებლობის ფარგლებში, ჩვენი ორგანიზაცია იკისრებს (რასაკვირველია, შესაბამის დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და ინსტიტუტებთან პარტნიორობის პირობით).

მოგეხსენებათ, რაოდენ დიდი ეკონომიკური და ყოველდღიური პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ისეთი პრობლემის შესწავლას და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას, როგორიც არის კოროზიის პრობლემა. ეს გახლავთ აქილევსის ქუსლი ტექნიკური პროგრესისა, „ვეშაპი", რომელიც ყოველდღიურად შთანთქავს კაცობრიობის მიერ შექმნილ სიმდიდრეს: გემების კორპუსებს, რკინა-ბეტონის ნაგებობებს, ზღვისპირა შენობებს, ხოლო მისი მადის დაკმაყოფილების ახლო პერსპექტივა კი არ ჩანს (შეერთებულ შტატებში, ბოლო მონაცემებით, ამის გამო წელიწადში 70-80 მილიარდი დოლარი იკარგება). ვერ ვიტყვით, რომ ამ მიმართულებით არაფერი არ კეთდება რესპუბლიკაში. იყო ცდა, შეგვესწავლა შავი ზღვის სანაპიროზე არსებული სხვადასხვა საკავშირო უწყებებისა და ორგანიზაციების კვლევითი ცენტრების მუშაობა ამ მიმართულებით. საამისოდ ორი-სამი წლის წინათ შექმნა კიდეც მეცნიერების და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის კომისია ამ პუბლიკაციის ერთ-ერთი ავტორის მონაწილეობით. მან დაიწყო პრაქტიკული საქმიანობა და საკმაო მოცულობის სამუშაოებიც შეასრულა, შექმნა ანგარიში, შეიმუშავა პრაქტიკული რეკომენდაციებიც, მაგრამ როგორც ბევრი სხვა კარგი საქმე, ესეც სადღაც, რომელიღაც ბიუროკრატიულ ორომტრიალში ჩაიკარგა. თუმცა ამით ის კი გახდა ნათელი მაშინდელი ხელმძღვანელობისათვის, რომ ამ ცენტრების უმეტესობის თავკაცები შავი ზღვისპირა ზონის საკურორტო მიზნით გამოყენებით უფრო იყვნენ დაინტერესებული, ვიდრე თავიანთი ძირითადი ფუნქციის შესრულებით. ზოგიერთი მათგანი საერთოდ არ უშვებდა საქართველოს მთავრობის კომისიას მის ტერიტორიაზე სამხედრო საიდუმლოების მომიზეზებით. არავინ დაინტერესებულა, თუ რატომ არის ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის ერთი და იგივე პროფილის კვლევითი ცენტრები ზღვის სანაპიროს გასწვრივ განლაგებული და რა საერგებლობა მოაქვთ მათ რესპუბლიკისათვის (ზარალი კი, როგორც ხედავთ, ფრიად საგრძნობია)? დასკვნა ერთია: საჭიროა ამ ცენტრების გაუქმება, მათ ბაზაზე ერთი ცენტრის ჩამოყალიბება და რესპუბლიკის ინტერესთა სამსახურში ჩაყენება (თუმცა რეალისტები ვართ და ამ საკითხში შესაძლო წინააღმდეგობებიც ნათლად გვაქვს წარმოდგენილი).

ამავე დროს საქმისადმი მიდგომის შესაფერ მაგალითს გვიჩვენებს ჩვენი მეზობელი თურქეთი, რომელმაც ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთობლივი ექსპედიციის მოწყობის შედეგად გამოიკვლია შავი ზღვის თურქეთის მიდებარე აკვატორიის შელფის ბიოქიმიური მდგომარეობა. ამ ექსპედიციამ მიიღო მნიშვნელოვანი შედეგები, რომელთა საფუძველზე აშშ და თურქეთი ამუშავებენ შავი ზღვის კომპლექსური ათვისების პროგრამას. მოგეხსენებათ, თურქეთი საზღვაო ტურიზმის ერთ-ერთი ცენტრია მსოფლიოში და ამერიკაც თავის სახსრებს უმიზნოდ და უშედეგოდ არ ანაგებს. ამდენად ამ მიმართულებით მათ მიერ გაწეული სამუშაოების გაცნობა და, შესაძლებელია, ერთობლივი კვლევა და ღონისძიებების დაგეგმვა აც ჩვენთვის უნდა იყოს უსარგებლო. ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: როგორც ცნობილია, საქართველო ძველთაგანვე ერთ-ერთი ტრადიციული ოქროს მომპოვებელი ქვეყანაა, კარგად არის ცნობილი საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი სიმდიდრე — მანგანუმიც, ჰოდა, სწორედ მათი უდიდესი მარაგია, როგორც ჩანს, მდინარე რიონის მეშეიმბით ზღვაში დალექილი და სხვადასხვა ნაერთებში შესული (რაზეც მგვანნშენებს აღნიშნული ერთობლივი ექსპედიციის შედეგები), რომლის მოპოვება და ხალხის სამსახურში ჩაყენება, თუ ამ საკითხს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა სათანადო ყურადღებას დაუთმობს, არ გვესახება ძალიან შორეულ პერსპექტივად. მისასალმებელია, რომ ამ ეტაპზე ეს დაინტერესება უკვე იგრძნობა. ამ მიმართულებით კვლევა და ძალების კონცენტრაციაც ჩვენ ფრიად საშურ საქმედ მიგვაჩნია. პირველ ნაბიჯად შეიძლება იქცეს დაინტერესებული უცხოელი სპეციალისტების მოწვევა რესპუბლიკაში და მათთან ერთად პრაქტიკული თათბირ-სემინარის მოწყობა ზღვისპირა ზონაში (რასაკვირველია მას შემდეგ, რაც ჩვენთან შესრულდება მოსამზადებელი დაზვერვითი სამუშაობები).

ასევე არანაკლებ მნიშვნელოვნად გვესახება ამ სამუშაოების მეორე მხარეც, კერძოდ, ზღვაში წარმოშობილი ქანების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიური განვითარების ისტორიის აღდგენა და ამ მხრივ მომავლის პროგნოზირებაც. ამ მეთოდით კავკასიონის ქედის აგებულებისა და გეოლოგიური მოვლენების კვლევის მნიშვნელობა სცილდება ვიწრო შიდარეგიონულ სამეცნიერო და პრაქტიკული ინტერესების სფეროს.

ზღვის ბიორესურსების პრობლემები ჩვენთან, უპირველეს ყოვლისა, მომხმარებლის თვალთახედვით განიხილებოდა. თუმცა ამ მიმართულებითაც საკავშირო ორგანიზაციების დიქტატისათვის გვერდის აკვა ანლაც ჭირს, ისინი განსაზღვრავენ კვლევის მიმართულებებსაც და პრაქტიკული საქმიანობის სფეროებსაც. არადა, საჭიროა უფრო გულდასმით, ეროვნული თვალთახედვით შეეხედოთ ჩვენს მომპოვებლურ საქმიანობას ამ სფეროში. შავი ზღვა ჩვენთვის ზღვაც არის და ოკეანეც. მას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ბევრ სხვა საზღვაო ქვეყნებთან შედარებით, რადგან საქართველოს საზღვრების პროცენტულად ძალიან დიდი ნაწილი ზღვაზე მოდის და, იგი, ვგრძნობთ თუ არა ჩვენ ამას, უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროზე, თვითონ მასზე.

რესპუბლიკაში არსებული თევზის გადამუშავებელი მრეწველობის ორიოდე საწარმო მოძველებული ტექნოლოგიით მუშაობს და სრულიადაც არ არის საკმარისი. ამ სფეროში წლების განმავლობაში ტექნოკურადაც და კადრების თვალსაზრისითაც სხვა რესპუბლიკებზე ვიყავით დამოკიდებული. სამეს ვერც ფოთში ასტრახანის თევზის მრეწველობის ინსტიტუტის ფილიალის გახსნამ უშველა, სადაც სწავლება რუსულად, მოწვეული პედაგოგების საშუალებით მიმდინარეობდა და მან თავისი დანიშნულება ვერაანაირად ვერ გაამართლა. სავალალოა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს რესპუბლიკაში თითზე ჩამოსათვლელად გვყავს სპეციალისტები, რომლებიც საზღვაო საქმეს, ტექნოლოგია იქნება ეს, გემის ელექტრო და ძალური დანადგარები, გემთაშენებლობა თუ სხვა, ახალგაზრდებს შეასწავლიდა. და ეს ხდება საზღვაო რესპუბლიკაში, სადაც არის შესანიშნავი გემთსამშენებლო საწარმოები (რად ღირს თუნდაც ფოთის გემთმშენებელ-გემთშემკეთებელი ქარხანა, რომელიც კომეტის ტიპის გემებს უშვებს, მონათესავე ქარხანა ბათუმში და სხვა), რომელთაც სჭირდებათ ადგილობრივი კადრებით უზრუნველყოფა. ამ უკანასკნელის უგულებელყოფამ თუ სანამდე მიგვიყვანა დემოგრაფიული თვალსაზრისით, კარგად ეტყობა ჩვენს ზღვისპირა ქალაქებს.

ამ ბოლო ხანს, როგორც ჩანს, გაჩნდა ჩვენს რესპუბლიკაში თევზსაჭერი ფლოტის არსებობის პრობლემა. ესეც ზღვისადმი ჩვენი დამოკიდებულების ბრალია.

საქართველოში მიმდინარე ატმოსფერულ პროცესებზე ზღვის გავლენის შესახებ სულ რომ არაფერი გვეთქვა, მაინც ყველა გრძნობს მის უდიდეს გავლენას და ამ მიმართულებით კვლევასაც მნიშვნელოვანი შედეგების მოცემა შეუძლია. ალბათ აქ გასათვალისწინებელი იქნება მსოფლიოში არსებული ზღვისა და ატმოსფეროს ინსტიტუტების პრაქტიკული გამოცდილებაც.

ცალკე მსჯელობის ღირსია ზღვისპირა ტურიზმისა და მისი ცალკეული მიმართულებების უზრუნველყოფის საკითხები. მათ შორის ალბათ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ენერგეტიკული უზრუნველყოფის პრობლემა, კვლევითი საფუძაოები ალტერნატიული ენერგიის წყაროების სფეროში, რომელთა წარმოება ბუნებრივი პირობების გამო, ზღვისპირა ადგილებში უფრო მიზანშეწონილია. ასევე ცალკე მსჯელობის საგანი შეიძლება გახდეს გოთერმული წყლების ენერგიისა და თვისებების პრაქტიკული გამოყენების საკითხები, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანწილად შეუწყოს ხელი ენერგეტიკული კრიზისის პირობებში ზღვისპირა ტურისტული კომპლექსების ენერგომომსახურების პრობლემის გადაჭრას. მითუმეტეს, რომ ბევრი შავი სამუშაო, რომელიც სხვა ქვეყნების ზღვისპირა საკურორტო კომპლექსებში დაქირავებული, გარედან შემოსული, არაკვალიფიციური მუშახლის საშუალებით სრულდება, ჩვენთან ალბათ ავტომატიზაციას მოითხოვს, რაც თავისთავად ენერგოტევადი მოწყობილობებით უნდა განხორციელდეს. ეს რაც შეეხება პერსპექტივას, მაგრამ კვლევა ამ მიმართულებით უკვე დღეს უნდა დავიწყოთ, უფრო სწორად, გუშინ- უნდა დაგვიწყო.

უდავოა, რომ ზღვის სამრეწველო გამოყენების პრობლემა უნდა განიხილებოდეს ეკოლოგიის საკითხებთან კომპლექსში, როგორც პრობლემათა პრობლემა და ეს უკვე ცალკე მსჯელობის საგანია.

თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს, როგორც ჩანს, საქმე გვაქვს კომპლექსურ პრობლემასთან, რომელიც ასევე კომპლექსური მიდგომას მოითხოვს და მისი გადაჭრა არსებული სამეცნიერო სტრუქტურების პირობებში საეჭვოა. ალბათ უახლოეს მომავლში საჭირო იქნება ერთიანი კვლევითი ცენტრის დაარსება, რომელიც თავისი პრობლემატიკით თანდათან მოიცავს ყველა ზემოჩამოთვლილ და კიდევ სხვა ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს. ეფიქრობთ, ეს უნდა იყოს ერთ-ერთი, თუნდაც ახლადშექმნილი საზღვაო საკვლევი ცენტრის პროგატივა, რომელიც, როგორც ამას რესპუბლიკის ცნობილი ადამიანები გვირჩევენ, შავიზღვისპირეთში უნდა ჩამოყალიბდეს. და უკვე შეიძლება საორიენტაციოდ ითქვას, რომ ეს უნდა იყოს ქ. ფოთის ზონა, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, თავისუფალი მბმდებარე ტერიტორიების თვალსაზრისით, სამეცნიერო და ეკონომიკური პოტენციალით ერთ-ერთი ყველაზე მისაღები ადგილია. მითუმეტეს, რომ ამ ქალაქში ფუნქციონირებდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი, რომლის შენობაც დღეს თავისუფალია და პატრონს ელოდება.

აქ უპირიანი იქნება მოვიტანოთ საქართველოს ერთ-ერთი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის შეხედულება, რომელიც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ფიქრობდა ამ პრობლემებზე. მას მიაჩნდა, რომ: „...ფოთს დიდი როლი და კარგი სვე მოელის მომავალში, რაკინის გზა, ბაქრა შეაერთებს მას თბილისთან, მერე კასპიის ზღვასთან, შემდგომ როდისმე შუა აზიასთან, ალრესეთთან და შესაძლოა [illegible] დღეთთანაც. მაშინ ამ ბნით გაიმართება დიდი მოძრაობა, მისვლა-მოსვლა და აღებ-მიცემა ერთი მხრით ევროპისა და მეორე მხრით საქართველოს, შუა აზიასა და სპარსეთს შორის და ფოთს თავისი პორტით ექნება დიდი მნიშვნელობა: იგი შეიქმნება ერთი უდიდესი და უმდიდრესი სავაჭრო ქალაქთაგანი, იგი აყობებს მაშინ ოდესასაც...".

აღსანიშნავია, რომ ფოთის ინტელიგენცია და მშრომელები კარგახანია ითხოვენ ქალაქში ფართო პროფილის უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას, რაც ჯერ კიდევ 1914 წელს ფოთის მერად არჩევნების დროს თავის წინასაარჩევნო პროგრამაში შეიტანა ნიკო ნიკოლაძემ.

ჩვენ ამ გადასახედიდან სავსებით რეალურად გვეჩვენება საქართველოში ფართო პროფილის საზღვაო ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რომელმაც კვლევითი საშუშაოებიც უნდა აწარმოოს და საქართველოს მისთვის ასე საჭირო ეროვნული კადრებიც მოამზადოს. რაც შეეხება ჩვენს ინსტიტუტს, ტექნიკური უნივერსიტეტის სტატუსის პირობებში, მას შეუძლია ბევრი აქ დაყენებული პრობლემა უმტკივნეულოდ მოხსნას და თავისი არსებითი წვლილი შეიტანოს ამ მამულიშვილურ საქმეში.

ამ პუბლიკაციით მხარს ვუჭერთ რესპუბლიკურ პრესაში ადრე გამოქვეყნებულ მოწოდებას იმის თაობაზე, რომ სათანადო კომპეტენტურმა ორგანოებმა და ორგანიზაციებმა გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები საზღვაო პრობლემებთან დაკავშირებით.

გოჩა ჩოგოვაძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი;

თამაზ აგლაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი;

ზურაბ შურღაია,
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

სასურსათო პროგრამა: რეალიზაციის გზები

როგორც ცნობილია, დამხმარე მეურნეობათა მთავარი დანიშნულება ის არის, რომ ფაბრიკა-ქარხნებში, საწარმო-დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა აქ წარმოებული იაფფასიანი პროდუქტებით — ხორცით, რძითა და მისი ნაწარმით, მარცვლეულით, ბოსტნეულ-ბაღჩეულითა და ხილით უზრუნველყონ როგორც მუშა-მოსამსახურენი, ისე თავიანთივე კვების ობიექტები. ამ მეურნეობათა გამართულ მუშაობას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღეს, როდესაც მწვავედ იგრძნობა სასურსათო პრობლემა.

რა და როგორ კეთდება საამისოდ ქალაქ ზუგდიდში, რას მიაღწიეს უკვე და როგორია მომავლის გეგმები? — ამის შესახებ გესაუბრებით ქვემოდებარე წერილში.

ქალაქი ზუგდიდი ყოველწლიურად სულ უფრო მშვენდება და კეთილმოწყობილი ხდება. წინა წლებზე რომ არაფერი ვთქვათ, ორი უკანასკნელი წლის მანძილზეც მისმა ახალმა ხელმძღვანელობამ ბევრი რამ გააკეთა და აკეთებს კიდეც საამისოდ. ამ მხრივ გაკეთებულ-მოგვარებულის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, თანაც ეს ამჟამად სულაც არ არის ჩვენი წერილის თემა. მაგრამ ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოთა მიმდინარეობაზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ მრეწველობის ზრდის ტემპმა, გეგმების წარმატებით შესრულებამ და მისგან დარჩენილმა მოგებამ სხვა შემოსავლებთან ერთად ხელი შეუწყო ქალაქის მმართველობას, ჭკვიანურად და გააზრებულად გამოეყენებინა მუშათა კლასის გარჯით მექმნილი ანარიცხები.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ცუდი ის გახლავთ, რომ თვით ამ მუშათა კლასს ძვირი უჯდება საკოლმეურნეო ბაზარში შეძენილი პროდუქტები. არადა, ბაზარი თითქმის ყოველდღიურად ძვირდება. მართალია, ბაზარში პროდუქტების სიუხვეა, მაგრამ ისიც ვთქვათ, რის ხარჯზე კეთდება ეს — ადგილობრივი და მეზობელი რაიონების მშრომელთა მიერ წარმოებული პროდუქტების, თუ ზუგდიდს დაშორებული რაიონებისა და რესპუბლიკის გარედან შემოტანილი პროდუქტების ხარჯზე? ამ შეთხვევაში ადგილობრივი მწარმოებელი უფრო ნაკლებია, ვიდრე შორეული რაიონებიდან და რესპუბლიკის გარედან ჩამოსულები. ზოგჯერ ისიც ხდება, რომ მათ, ადგილზე ე. წ. ქორვაჭრები ხვდებიან, შედარებით იაფად და ბითუმად ყიდულობენ გლეხის ნაშრომ-ნაამაგარს, თვითონ კი მამასისხლად ჰყიდიან...

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ ზუგდიდელ დიასახლისებს ერთი კარგი ინიციატივა გამოუჩენიათ დევიზით, „უზრუნველვყოთ ქალაქი საკუთარი წარმოების ბოსტნეულით" (ამის შესახებ წერდა კიდეც „კომუნისტი" 1976 წლის 13 ივნისის ნომერში). ეს ნიშნავდა, რომ აქაური დიასახლისები კისრულობდნენ თავიანთ ბოსტნებში მიეღოთ იმდენი მოსავალი, მათს ოჯახებსაც რომ ეყოფოდა და ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებასაც ძირითადად დაკმაყოფილებდა.

ქალთა საბჭოს ამ თაოსნობას, რომელსაც ამავე საბჭოს თავმჯდომარე, ვეტერანი კომკავშრომელი თამარ ქუჩულორია ხელმძღვანელობდა, თურმე დიდი სიკეთე გამოუღია. ამ ინიციატივას ქალაქში მცხოვრები 9.800 კომლიდან, რომელთაც თავიანთი საკარმიდამო ნაკვეთები ჰქონიათ, 7.235-ს კარგი ბოსტანი გაუშენებია. მებოსტნეებმა ამ ნაკვეთზე 1.500 ცენტნერი ბოსტნეული აწარმოეს. მოსახლეობისაგან ნამები ბოსტნეულის შესყიდვის ორგანიზაცია კოოპერაციას დაეკალა.

შემდგომ წლებში ქალთა საბჭოს ეს კარგი ინიციატივა თანდათანობით მიიკიწყეს, ბაზარი კი ისევ გაძვირდა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროდუქტებს „ცეცხლი უკიდია". აქვე რას აკეთებენ დამხმარე სასოფლო მეურნეობები, რომლებიც თითქმის ყველა საწარმოსთან არის შექმნილი?

ვერ ვიტყვით, რომ ამ მხრივ ქალაქში მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულიყოს და ახლაც კი არ კეთდებოდეს. პირიქით, ბევრი რამეც გაკეთდა, მაგრამ არა ყველგან და არა ერთნაირ მონდომებითა და პასუხისმგებლობით. ამიტომაც გამოვიტანეთ წერილის სათაურად ის აზრი, რომ საქმის სასარგებლო ეს რეზერვები ყველგან სრულად არ არის ამოქმედებული.

ხოლო იმის დასადასტურებლად, თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია ამ მხრივ მიზანსწრაფულ და მაძიებლურ მუშაობას, საქალაქოდ-მრეწვის კოოპერატივის მაგალითიც გამოდგება (ამის შესახებ შარშანდელი 5 დეკემბრის ? ნომერში ვრცლად წერდა ჩვენი გაზეთი).

კიდევ ერთი დადებითი მაგალითი: დიდი ხანი არ არის, რაც პუბლიკოდოვანების კომბინატი აშენდა. აშენდაო, ვამბობთ, თორემ მშენებელთა „ნაზელავი" და დამონტაჟებული დანადგარ-მოწყობილობანი უკვე საჭიროებს „მკურნალობას", რაც დამატებითს ხარჯებთან არის დაკავშირებული. მაგრამ ამ დამატებითი შრომის მიუხედავად კომბინატის ხელმძღვანელობამ მაინც შეძლო მოეწყო ინკუბატორი, საიდანაც რეალიზებულია 76 ათასი ფრთა ფრინველი. რეალიზაციიდან ამონაგებმა 128,4 ათასი მანეთი შეადგინა. ხარჯების დაფარვის შემდეგ კომბინატმა, მართალია არცთუ ისე დიდი, მაგრამ გარკვეული მოგებაც მიიღო. არადა, აქ ანარჩენების გამოყენების დიდი შესაძლებლობაა. ამის გათვალისწინებით დაწყებულია თევზის სატბორე მეურნეობის, საძროხის და სხვა მშენებლობები. კომბინატის დირექტორი ვლ. გულორდავა, ინიციატივიანი და კარგი სამეურნეო მუშაკი, სინანულით გვეუბნება, — მოკლე ხანში ყველაფრის გაკეთება ვერ მოვასწარით, მაგრამ მალე უკეთესი მდგომარეობა და მაჩვენებლები გვექნებაო...

ჯუბუ ფარჯიკია ავტომატოსერვისის საწარმოს დირექტორად მუშაობს. მან საწარმოსთან შექმნა მეფუტკრეობის დამხმარე მეურნეობა. აქ შარშანწინ 1,1 ტონა სასქონლო თაფლი აწარმოეს, შარშან კი, თუმცა დასავლეთ საქართველოში ხშირი წვიმების გამო ფუტკრის ფლიანთა დაბალი იყო, ეს მაჩვენებელი მაინც გაზარდეს, 2 ტონამდე თაფლი მიიღეს.

და მით უფრო დასანანია, რომ ქალაქის არც ერთ დამხმარე სამეურნეოს, ანუ ზღვაში გადაყრილი მილიონები. ამიტომ სანამ ჯერ კიდევ არ არის ძალიან დაგვიანებული, ყველამ, ვისაც მეტნაკლებად ხელეწოფება ეს, ერთად უნდა თქვას სათქმელი და აკეთოს საერთო საქმე. მაგრამ აქ განსაკუთრებით საჭიროა კარგად მოფიქრებული და მიზანსწრაფული მოქმედება, რათა არ დავუშვათ ნაჩქარევი, არამეცნიერული გადაწყვეტილებების მიღების და შესატყვისი მოქმედების შესაძლებლობა.

ამიტომაც საჭიროა ხსენებული პროგრამის შესადგენად და განხილვისეულების გზების დასასახავად რესპუბლიკაში არსებული სამეცნიერო ძალების მოზიდვა-კოორდინაცია.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, აწ უკვე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტად წოდებული და გარდაქმნილი, გვესახება ერთ-ერთ იმ ძალად, რომელიც ამ ეროვნული საქმის მნიშვნელოვანი ნაწილის მოგვარებას იტვირთავს. აქ არსებული სამეცნიერო და საკადრო პოტენციალი ამის გარანტიას იძლევა.

ქვემოთ ვეცდებით ზოგადად წარმოვაჩინოთ ის ძირითადი მიმართულებანი, რომლებიც, ჩვენი აზრით, უნდა აისახოს მომავალ პროგრამაში, და რომლის გარკვეული ნაწილის გადაწყვეტასაც, შესაძლებლობის ფარგლებში, ჩვენი ორგანიზაცია იკისრებს (რასაკვირველია, შესაბამის დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და ინსტიტუტებთან პარტნიორობის პირობით).

მოგეხსენებათ, რაოდენ დიდი ეკონომიკური და ყოველდღიური პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ისეთი პრობლემის შესწავლას და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას, როგორიც არის კოროზიის პრობლემა. ეს გახლავთ აქილევსის ქუსლი ტექნიკური პროგრესისა, „ვეშაპი", რომელიც ყოველდღიურად შთანთქავს კაცობრიობის მიერ შექმნილ სიმდიდრეს: გემების კორპუსებს, რკინა-ბეტონის ნაგებობებს, ზღვისპირა შენობებს, ხოლო მისი მადის დაკმაყოფილების ახლო პერსპექტივა კი არ ჩანს (შეერთებულ შტატებში, ბოლო მონაცემებით, ამის გამო წელიწადში 70-80 მილიარდი დოლარი იკარგება). ვერ ვიტყვით, რომ ამ მიმართულებით არაფერი არ კეთდება რესპუბლიკაში. იყო ცდა, შეგვესწავლა შავი ზღვის სანაპიროზე არსებული სხვადასხვა საკავშირო უწყებებისა და ორგანიზაციების კვლევითი ცენტრების მუშაობა ამ მიმართულებით. საამისოდ ორი-სამი წლის წინათ შექმნა კიდეც მეცნიერების და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის კომისია ამ პუბლიკაციის ერთ-ერთი ავტორის მონაწილეობით. მან დაიწყო პრაქტიკული საქმიანობა და საკმაო მოცულობის სამუშაოებიც შეასრულა, შექმნა ანგარიში, შეიმუშავა პრაქტიკული რეკომენდაციებიც, მაგრამ როგორც ბევრი სხვა კარგი საქმე, ესეც სადღაც, რომელიღაც ბიუროკრატიულ ორომტრიალში ჩაიკარგა. თუმცა ამით ის კი გახდა ნათელი მაშინდელი ხელმძღვანელობისათვის, რომ ამ ცენტრების უმეტესობის თავკაცები შავი ზღვისპირა ზონის საკურორტო მიზნით გამოყენებით უფრო იყვნენ დაინტერესებული, ვიდრე თავიანთი ძირითადი ფუნქციის შესრულებით. ზოგიერთი მათგანი საერთოდ არ უშვებდა საქართველოს მთავრობის კომისიას მის ტერიტორიაზე სამხედრო საიდუმლოების მომიზეზებით. არავინ დაინტერესებულა, თუ რატომ არის ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის ერთი და იგივე პროფილის კვლევითი ცენტრები ზღვის სანაპიროს გასწვრივ განლაგებული და რა სარგებლობა მოაქვთ მათ რესპუბლიკისათვის (ზარალი კი, როგორც ხედავთ, ფრიად საგრძნობია)? დასკვნა ერთია: საჭიროა ამ ცენტრების გაუქმება, მათ ბაზაზე ერთი ცენტრის ჩამოყალიბება და რესპუბლიკის ინტერესთა სამსახურში ჩაყენება (თუმცა რეალისტები ვართ და ამ საკითხში შესაძლო წინააღმდეგობებიც ნათლად გვაქვს წარმოდგენილი).

ამავე დროს საქმისადმი მიდგომის შესაფერ მაგალითს გვიჩვენებს ჩვენი მეზობელი თურქეთი, რომელმაც ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთობლივი ექსპედიციის მოწყობის შედეგად გამოიკვლია შავი ზღვის თურქეთის მიდებარე აკვატორიის შელფის ბიოქიმიური მდგომარეობა. ამ ექსპედიციამ მიიღო მნიშვნელოვანი შედეგები, რომელთა საფუძველზე აშშ და თურქეთი ამუშავებენ შავი ზღვის კომპლექსური ათვისების პროგრამას. მოგეხსენებათ, თურქეთი საზღვაო ტურიზმის ერთ-ერთი ცენტრია მსოფლიოში და ამერიკაც თავის სახსრებს უმიზნოდ და უშედეგოდ არ ანაგებს. ამდენად ამ მიმართულებით მათ მიერ გაწეული სამუშაოების გაცნობა და, შესაძლებელია, ერთობლივი კვლევა და ღონისძიებების დაგეგმვა აც ჩვენთვის უნდა იყოს უსარგებლო. ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: როგორც ცნობილია, საქართველო ძველთაგანვე ერთ-ერთი ტრადიციული ოქროს მომპოვებელი ქვეყანაა, კარგად არის ცნობილი საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი სიმდიდრე — მანგანუმიც, ჰოდა, სწორედ მათი უდიდესი მარაგია, როგორც ჩანს, მდინარე რიონის მეშეიმბით ზღვაში დალექილი და სხვადასხვა ნაერთებში შესული (რაზეც მგვანნშენებს აღნიშნული ერთობლივი ექსპედიციის შედეგები), რომლის მოპოვება და ხალხის სამსახურში ჩაყენება, თუ ამ საკითხს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა სათანადო ყურადღებას დაუთმობს, არ გვესახება ძალიან შორეულ პერსპექტივად. მისასალმებელია, რომ ამ ეტაპზე ეს დაინტერესება უკვე იგრძნობა. ამ მიმართულებით კვლევა და ძალების კონცენტრაციაც ჩვენ ფრიად საშურ საქმედ მიგვაჩნია. პირველ ნაბიჯად შეიძლება იქცეს დაინტერესებული უცხოელი სპეციალისტების მოწვევა რესპუბლიკაში და მათთან ერთად პრაქტიკული თათბირ-სემინარის მოწყობა ზღვისპირა ზონაში (რასაკვირველია მას შემდეგ, რაც ჩვენთან შესრულდება მოსამზადებელი დაზვერვითი სამუშაობები).

ასევე არანაკლებ მნიშვნელოვნად გვესახება ამ სამუშაოების მეორე მხარეც, კერძოდ, ზღვაში წარმოშობილი ქანების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიური განვითარების ისტორიის აღდგენა და ამ მხრივ მომავლის პროგნოზირებაც. ამ მეთოდით კავკასიონის ქედის აგებულებისა და გეოლოგიური მოვლენების კვლევის მნიშვნელობა სცილდება ვიწრო შიდარეგიონულ სამეცნიერო და პრაქტიკული ინტერესების სფეროს.

ზღვის ბიორესურსების პრობლემები ჩვენთან, უპირველეს ყოვლისა, მომხმარებლის თვალთახედვით განიხილებოდა. თუმცა ამ მიმართულებითაც საკავშირო ორგანიზაციების დიქტატისათვის გვერდის აკვა ანლ

ევროპა–განხეთქილებიდან ერთიანობისაკენ

ედუარდ შევარდნაძე,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი,
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი

ამ ბოლო ხანს ევროპელ პოლიტიკოსთა ლექსიკონს შეემატა ახალი ტერმინები, რომელთა ძირს, ფესვთა სისტემას შეადგენს სიტყვა „კონფედერაცია“. ყველა ეს ტერმინი გამოხატავს დაუღალავ ძიებას — ცდას განჭვრიტონ და დაამოდელონ ევროპის მომავალი, რომელსაც ბობოქარ ცვლილებათა ეტაპი დაუდგა.

ბერლინის კედელი ჯერ კიდევ დგას, მაგრამ უკვე აღარავის აცილკვებს. ჩრდილოატლანტიკური კავშირი და ვარშავის ხელშეკრულება ახლებურად იაზრებენ თავიანთ დანიშნულებას, უფიქრდებიან, როგორ შეამცირონ მისი საბრძოო კომპონენტი და გაზარდონ — პოლიტიკური. კონტინენტის აღმოსავლეთი ნაწილის ხალხთა მტკიცე უარი „ადმინისტრაციულ სოციალიზმზე“, რომელმაც ახალი რეალობანი წარმოშვა, მარტოოდენ მათ წინაშე, როდი აყენებს მომავლის დრამატულ საკითხს. როდესაც საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი მ. როკარი ამბობს, „რკინის ფარდის“ დამხობამ მოსპო ომის კომფორტი, რომელიც ჰქონდათ მის გაღმა-გამოღმა მცხოვრებთ, ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ „კომფორტად“ სტაბილურობა იგულისხმება. აშკარად პოზიტიური ხასიათის მიუხედავად ესოდენ მნიშვნელოვანი მასშტაბით და ესოდენ სწრაფი ტემპით მიმდინარე ცვლილებებს უთუოდ მოჰყვება მადესტაბილიზებელი ეფექტი, რომლის მოსურნე არ იქნება არც ერთი ჭკუათმყოფელი კაცი, სახელმწიფო მოღვაწე თუ „უბრალო მოკვდავი“.

გასაგებია სურვილი — ვხედავდეთ ამ ნაკადს ისეთი დინების ნაპირებში, რომელიც არარას ავნებს ხალხთა ცხოვრებას. აქ ფორმულა შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს: დინამიკურობა სტაბილურობის ფარგლებში. იგი მოითხოვს ზორცეულ ყურადღებას, წარმოსახვასა და მოქმედების უნარს.

ყურადღება იგრძნობა საგარეოპოლიტიკური კონტაქტების ყველა დონეზე. მოქმედება ხორციელდება ორ და მრავალმხრივი დიპლომატიის ფართო ფრონტზე. რაც შეეხება წარმოსახვას, მას სტიმულს ანიჭებს ბუნებრივი მისწრაფება განსაზღვრონ სრულიად ევროპის წყობის ყველაზე რაციონალური, ცხოველუნარიანი და, რაც მთავარია, ქვეყნებისა და ხალხების უშიშროების უზრუნველმყოფი ფორმები.

„ევროპის კონფედერაციის“ აზრი დომინირებს ამ წყობაში „ევროპის საერთო სახლის“ სპროეკტო მონახაზებთან ერთად, რომლის იდეა მ. ს. გორბაჩოვმა ჩამოაყალიბა პარიზში 1985 წელს.

მინდა, სულ ორიოდ სიტყვით შეგახსენოთ, რომ ევროპის ერთობის ფილოსოფიას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მისი ყველა მოდიფიკაცია ზოგადად აღინიშნება „ევროპული იდეის“ (ანუ „ევროპის იდეის“) ცნებით, თანაც, ერთ შემთხვევაში — მას უსატყვისებენ ევროპის გაერთიანების სხვადასხვა პროექტს, მეორეში — ევროპის ცხოვრების ეკონომიკური, კულტურული, საერთაშორისო პირობების კომპლექსს.

განიხილავდა რა ერთ მათგანს — ჰერცოგ სიულის „დიდ პროექტს“, ჟან-ჟაკ რუსომ აღნიშნა, რომ იგი „ვერ იყო მთლად საგრძოო, ვინაიდან ევროპა ვერ იყო მთლად საამპროექტოო“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმ ეპოქის ევროპა ობიექტურად არ იყო მზად გაერთიანების პროექტის რეალიზაციისთვის. მიმაჩნია აგრეთვე, რომ არც იქამდე და არც შემდეგ ერთიანი ევროპის არც ერთ გეგმას არ ჰქონია რეალური ნიადაგი.

აქეს კია ასეთი ნიადაგი ახლა? ანდა, რუსოსებურად რომ ვთქვათ, არის კია სამპროექტო ახლანდელი ევროპა? ეს კითხვები სულაც არ არის ზედმეტი ისეთ ვითარებაში, როდესაც სწრაფად მიმდინარეობს ომისშემდგომი სტრუქტურების მსხვრევა და დაიწყო მოძძაობა კონტინენტის განხეთქილების დასაძლევად, როდესაც ევროპის საერთო სახლის იდეა თვით მოვლენათა მსვლელობამ გამოიტანა პრაქტიკული პოლიტიკის სფეროში. და ამავე კონტექსტით უნდა გაეცეს პასუხი კითხვას, გამოდგება შემოთავაზებული პროექტები ახლანდელი ევროპისათვის? საამედოდ გადაწყვეტენ ისინი სტაბილურობისა და უშიშროების პრობლემებს?

მაგრამ ჯერ განვიხილოთ მისი ერთიანობის წანამძღვრები, პირობები, რომლებშიც შესაძლებელია ევროპული იდეის გამარჯვება.

ახლებური პოლიტიკური აზროვნება დიდად გაისარჯა იმისათვის, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობაში აღმოფხვრილიყო იდეოლოგიური კომპონენტი და მასთან დაკავშირებული შეურიგებელი კონფრონტაციის სულისკვეთება. მას ამოძრავებდა არა გამომბატველ-გამტარებელთა გულარხეინობა, არამედ იმ საფრთხის საერთო ხასიათის გაცნობიერება, რომელსაც კონტინენტსა და მისი სვე-ბედისათვის ევროპის ქვეყნების საერთო პასუხისმგებლობას უქმნის მრავალი საშიშროება, გამალებული ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღება, ეკონომიკური ჩამორჩენა, ეკოლოგიური კატასტროფა. ახლებურ პოლიტიკურ აზროვნებას არ შეეძლო აგრეთვე გამოერიცხა თვალთახედვის არიდან ეკონომიკური ინტეგრაციის ობიექტური წანამძღვრები და ამ საფუძველზე წარმომობილი პოლიტიკური სტრუქტურები, რომლებიც წრიულად გავიცელდა კონტინენტზე და მთელ რიგ შემთხვევებში დაახლოების ტენდენცია აქვთ.

ასეთი დაახლოების საფუძველია ევროპის საერთო პროცესი — საკვანძო, სტრატეგიული ცნება იმ შეხედულებათა ჯაჭვში, რომლებიც შესაძლოდ მიიჩნევენ **აშენდეს თანასწორუფლებიანი ერების ერთიანი ევროპა, რომელთა სახელმწიფოებრიობა და საზღვრები ურყევ კონსტანტებად არის აღიარებული.** ჰელსინკის თათბირმა, რომელმაც კონტინენტის ისტორიის მანძილზე პირველად მოუყარა თავი ერთ მაგიდასთან მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის პრობლემებზე ბჭობისათვის ევროპის ოცდაცამეტ სახელმწიფოს, აგრეთვე, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადას, განსაზღვრა ამ მიზნისაკენ წინსვლის გზები. შეესატყვისა რა მათ, გარდაქმნამ საბჭოთა კავშირში გაიფართოვა ეს გზები და მოაახლოვა მიზანი.

ეს უპრიანია გავიხსენოთ ვენის სრულიად ევროპის შეხვედრის იმ უპრეცედენტო მოვლენის დასრულების წლისთავზე, რომელსაც, მ. ს. გორბაჩოვის თქმით, ბადალი არ მოეპოვება თავისი შინაარსით, მიზნებით, შედეგების შესაძლო მრავალფეროვნებით არა მარტო ევროპის, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოსათვის.

ვენის შემდეგ გაიმართა მთელი რიგი შეხვედრები, რომლებიც მიეძღვნა ევროპაში თანამშრომლობის სხვადასხვა ასპექტებს — ინფორმაციულიდან ეკოლოგიურამდე. მიმდინარეობს მოლაპარაკება ჯარებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების და ნდობის ახალი ღონისძიებების შესახებ. „ვენის თანხმობის“ წლისთავი აღინიშნა უპრეცედენტო მოვლენით — ავსტრიის დედაქალაქში დაიწყო სემინარი, რომლის მონაწილენი — ევროპის ქვეყნების, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის მაღალი თანამდებობის სამხედრო წარმომადგენლები — განიხილავენ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და **ნატოს** თავდაცვითს დოქტრინებს.

მაგრამ შედეგები მარტოოდენ და არა იმდენად შეიმჩნევა ევროპის საერთო ფორუმების წყებაში, რამდენადაც ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების, ევროპის ერთიანი ეკონომიკური და სამართლებრივი სივრცის, მასში არსებული ინტეგრაციული სისტემების ორმხრივ სასარგებლო თანამშრომლობის ჩამოყალიბებაში. ამ მხრივ ყველაზე საგულისხმოდ მიმაჩნია 1989 წლის დეკემბრის ვიზიტი ბრიუსელში, შეხვედრები და საუბრები ბელგიის ევროპის ეკონომიკური გაერთიანებების, ევროპარლამენტის, ნატოს ხელმძღვანელებთან. ვიზიტის კრებსითი პირადი შედეგია **ერთიანი ევროპის პროექტის რეალობის** განმტკიცებული რწმენა. ბრიუსელში მე ყველავ დავრწმუნდი, რაოდენ გამორთლებული ყოფილა ჩვენი მდგომა დასავლეთ ევროპის ინტეგრაციის როგორც დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენასადმი, ევროპის გაერთიანებებთან და ევროპარლამენტთან აქტიური თანამშრომლობის დამყარებისადმი.

სსრ კავშირსა და ევროპის გაერთიანებებს შორის ვაჭრობის, კომერციული და ეკონომიკური თანამშრომლობის შეთანხმება ფართო ნაბიჯია კონტინენტის აღმოსავლეთისა და დასავლეთის მრმხრივი ადაპტაციის, მათი გათიშვის დაძლევის გზაზე. ჩვენ საინტერესოდ გვესახება ევროპის ერთიანებათა წინადადება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და მმართველი კადრების მომზადების ფონდის შექმნის შესახებ. ჩვენ, ბუნებრივია, იმით ვხელმძღვანელობთ, რომ ახალი ბანკის საქმიანობის მიზნები და პრინციპები, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების მრავალმხრივი ხელშეწყობის კოორდინატორი უნდა გახდეს, უნდა ატარებდნენ შეწონასწორებული ხასიათს, გამორიცხავდნენ დახმარების განპირობებას პოლიტიკური და იდეოლოგიური ხასიათის მოსაზრებებით.

ამრიგად, ჩვენი მტკიცე რწმენით, ევროპულ იდეას დღეს, ისე როგორც არასდროს წარსულში, აქვს შანსი განხორციელდეს — მართალია არა ერთბაშად, არამედ ეტაპობრივად განუხრელად.

რა ფორმითა და სტრუქტურებით? განვიხილოთ ზოგიერთი ფაქტორი, ფაქტორ-ეტაპი, ფაქტორ-ტენდენცია, ფაქტორ-ალტერნატივა, ფაქტორ-ალბათობა, ფაქტორ-ალბერტ, ფაქტორ-ალბერტ, ფაქტორ-ალბერტ

ხუტა ბერულავა

გამოგცევლობა „მერანმა“ ახლახან გამოსცა პოეტ ხუტა ბერულავას ლექსების წიგნი „დადგება ის დღე“, რომელშიც ახალ ლექსებთან ერთად მოთავსებულია ავტორის ადრინდელი ნაწარმოებებიც. მკითხველს ვთავაზობთ პოეტის რამდენიმე ლექსს.

ქეთევან-წამებული

საუკუნეებს იქით
მე შენს ხატებას ვხედავ,
უსათნოესო ქალო,
ქართველთა დიდო დედავ!

საქართველოსთვის გიძგერს
ამოშანთული მკერდი...

ხელაპყრობილი დგახარ
დედა-თამარის გვერდით.

ყამთა სიავის ბრუნვას
ხელი არა აქვს თქვენთან
და იელვარებთ მიწყივ
ყველა წმინდანთან ერთად.

ქარიატა

წლები, როგორც მწვერვალები,
აღიმართნენ თვალწინ
და მოსიელ მოგონებებს
ვფანტავ ნაწილ-ნაწილ.

ქარიატა, ქარიატა,
შენკენ მოვიჩქარი,
როგორც მუდამ, ღია გქონდეს
გულის ყველა კარი.

გამატარე, ხორგის გზაო,
წამიყვანე იქით,
სადაც ხშირად ვიმყოფები
ოცნებით და ფიქრით.

გამატარე, გაიხსენე
(ნუთუ აგრე გიჭირს?),
ქარიატას მიმავალი
ზუგდიდელი ბიჭი.

სევდიანი ჰქონდა მზერა
და... ქოჩორი ზშირი,
სუსტი იყო და გამხდარი,
როგორც იფნის ჩხირი.

ის ბიჭი ხომ მე გახლავარ,
ეფიციები დედას,
მართალს ვამბობ, განა გული
ტყუილს გაგიბედავს?!

კამეჩები გავეშებით
მიაპობდნენ ტალახს
და ეკარგავდი ყოველ წუთში
მოთმინების ძალას:

— სადღა არი ხახლი თქვენი,
როდის მივალთ ურმით? —
და მოღიმარ მამიდაჩემს
შევყურებდი მდურვით.

იმ ტალახში ურმის თვალი,
ო, რამდენჯერ ჩარჩა!
ო, რამდენი ენახეთ მაშინ
წვალება და გარჯა!

ხორგის გზაო, გამატარე,
მე მივდივარ იქით,
სადაც უკვე ვიმყოფები
ოცნებით და ფიქრით.

ქარიატა, ქარიატა,
ვიცი, აღარ მელი,
მაგრამ როდი დამიკარგავს
მეგობრობა ძველი:

მე აქ ერთხანს შემოფარა
გადახრილმა ქოხმა,
აქვე მოსწყდა ბაგეს ჩემსას
სიყვარულის ოხვრა.

აწ სად უსმენს ზეთა შრიალს
ის ცქრიალა გოგო?
ხობშია თუ ზეთაშია
ის ცქრიალა გოგო?

წლები, როგორც მეომრები,
ახლა ჩემს წინ დგანან...
შორეული შვილობილი
გაგონდება განა?

შენი მზე და მთვარე

შენი მზე და მთვარე,
ლიახვი და მტკვარი,
ეს უფუფუნ წვიმა,
ეს ციმციმა ცვარი,
ეს შრიალი ხეთა,
ლოცვასავით წუნარი,
შენებური ქარი,
მშვენიერი დარი, —
ყველაფერი მიყვარს,
რაც კი შენი არი!

ცრემლით დანამული
შენი სალამური,
შენი ღია გული
და სალამი ძმური,
ნარიყალას ნარი,
გალავანი შურის,
ხაძმად გატეხილი
შენი ზოთი პური, —
ყველაფერი მიყვარს,
რაც კი შენი არი!

შენი რუსთაველი,
თამარის წინ მდგარი,
და რუსთავის რვალი,
რომ არა აქვს ბზარი.
დედაენა — შვილთა
დიდი სიბრძნის კარი,
ცაზე დაკიდული
სვეტიცხოვლის ზარი, —
ყველაფერი მიყვარს,
რაც კი შენი არი!

საქართველოვ, დედავ,
ხედავ, რამდენს ვხედავ,
სიყვარული შენი
დამყოლია ბედად.
მე წუხილად დამრჩა
შენი დიდი სევდა.
სიამაყეე ჩვენო,
მაშ დიდება შენდა!
...ყოველივე ჩემი
მხოლოდ შენი არი!

დადგება ის დღე

დადგება ის დღე, ღამენათევი,
როცა ჩემს ბაღსაც კრძალვით
ეწვევი,
გული ერთბაშად გაგინათდება,
გაოცდები და აილწერები.

ქვეყნის კიდემდე თუმცა გივლია.
გიგრძვნია მიწის ყველა
მშვენება, —
ამ ბაღში იქნებ ის ყვავილია,
ღამი-ღამ სიზმრად რომ
გეჩვენება.

შავი გოგო, შავგვრემანი

შე შაშვივით შავო გოგოვ
და მშიშარავ შველივით,
შენ მშვიდობით ვინ გაუშვებს
შენისთანა მშვენიერს!
შინდისფრად რომ შემოსილხარ
და შორს ისმის შენი ხმა,
არ გაშინებს დედაშენის
შუბლის შეკვრა, შერისხვა?
ამ ფშანებში რომ შრიალებ,
მაფშალია ხომ არ ხარ?
შავო გოგო, შავი ბიჭი
შეგნიშნავს და მოგნახავს.
შეგნიშნავს და შინ წაგიყვანს
შენისთანა მშვენიერს.
შავო გოგო, შავგვრემანო
და მშიშარავ შველივით!

ახალი თეატრი ძირძველ ქართულ ეროვნულზე

პარასკევს, 19 იანვარს დმანისის სოფელ განთიადში, გაიხსნა დმანისის ექსპერიმენტული თეატრი „ნიდა ქართლი“, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელია ზინა კვერენჩილაძე. წარმოდგენილ იქნა სპექტაკლი „ჩემო კალამო“ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების მიხედვით. სპექტაკლში მონაწილეობდნენ გიორგი გეგეჭკორი, გიორგი ხარაბაძე, აკაკი ხიდაშელი, ახალგაზრდა მსახიობები ხათუნა ბოკუჩავა, ვერიკო შოშიაშვილი, ბელა ფანჩულიძე, კობა ცხაკაია, ზაზა დარასელია, შიო გელენიძე, გია სისაური, ოთარ ავალიანი და თვით ზინა კვერენჩილაძე.

თეატრის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვით არქეოლოგ ჯუმბერ კოპალიანს და ფილოლოგ ნანა ბოკუჩავას — ორივე თბილისელია, მაგრამ დმანისი როდი იშორეს — ამ საქმის ენთუზიასტები შეიკრნენ. მათ მხარში ამოუდგა ომარ ელოშვილი — პარტიის დმანისის რაიკომის პირველი მდივანი, რომელიც ახლადჩამოყალიბებულ თეატრს პირდება, რომ დაიჩქარებს კულტურის სახლის მშენებლობას და გაზაფხულზე თეატრი ახალ სახლობას იზეიმებს. დმანისელების ხშირი სტუმრები იქნებიან თბილისის თეატრები თავიანთი საუკეთესო დადგმებით.

საინტერესო სამომავლო გეგმები აქვს ახალ თეატრს: მათ სცენაზე განხორციელდება ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“ დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“. ზემოხსენებულ ახალგაზრდობას, რომლებიც რჩება დასში, შემოემატებიან ახალი ძალები. სპექტაკლის შემდეგ თეატრს მიესალმა თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე გიგა ლორთქიფანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. სიტყვები წარმოთქვეს ომარ მარელაშვილმა და ჯუმბერ კოპალიანმა.

სპექტაკლს ესწრებოდნენ საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, ფართო საზოგადოებრიობა, რომელიც გულით ზეიმობდა კულტურის ახალი კერის დაარსებას ძირძველ ქართულ მიწაზე.

შინ ბრუნდებიან

როგორც საკდესის კორესპონდენტს აცნობეს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროში, ამ დღეებში თადარიგიდან გაწვეული პირადი შემადგენლობა 24 იანვრის საღამოს შინ დაბრუნდება. გეგმიანი დაბრუნება დაიწყო 20 იანვარს.

ღვაწლი

მოსალაპარაკებლად მიმავალს აბეზარი აზრი ამეკვიატა — რა მეთქვა ახალი მის შესახებ, რადგან ხალხმა ამ დიდებული ქალბატონის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ თითქმის ყველაფერი იცის. თუმცა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა როდი აქვს ისეთი პიროვნების მიმართ, რომელსაც ერი უსაზღვრო პატივსა და სიყვარულს, სიბრძოსა და სიხარულს მიაგებს.

— ძალიან სწრაფ ბრუნს აკეთებ! წელში გაიმართე! — მეზობის დერეფანში მიმავალს. — ფარი თავს ზემოთ ასწიეთ, პირით წინა მხარეს!..

კარის ჭრილში სავარძელში მჯდომ დიდ ქალბატონს ვხედავ. უკან, მთელი კედელი სარკით არის დაფარული და ჭრილის ვიწრო ზოლში ხან ხმლით გაფრენილ ჭაბუკს დავლანდავ, ხანაც მოფარიკავე წყვილს.

— დოლი! — ანიშნებს ქალბატონი მუსიკოსებს. — შეჩერდით! — და სავარძელი უკვე ცარიელია...

გულამომჯდარმა მოცეკვავემ კარი გააღო, ოფლად არის გახვითქული, პერანგის გამოცვლა თუ უნდა. ახლა ყველაფერს კარგად ვხედავ. ქალბატონი საოცარი სიმკვირცხლით აჩვენებს ირგვლივ შემოკრებილთ ცეცხლოვანი ცეკვის ერთ-ერთ ილეთს. და ერთხელ კი არა, რამდენჯერმე...

— დოლი! — ისმის ქალბატონის ხმა და ჭაბუკები გულდაგულ ცდილობენ ნანახის გამეორებას. ისევ რაღაც ჯრ მოსწონს დიდ ქალბატონს, ისევ აჩვენებს ოფლში გახვითქულებს ვაუკაცურ ილეთებს, ისევ აჩერებს მედოლეს და ისევ სთხოვს დაკვრას.

კარი აღარავინ მიიხურა და სიამოვნება მქონდა დიდხანს მეცქირა სახელგანთქმული ქორეოგრაფის რეპეტიციისათვის, ახლოს მენახა მისი ღელვა-ბობოქრობა. ერთი წუთით არ მოეშვა, არავინ „დაინდო“ მანამ, სანამ ის პატარა ილეთი ისე არ შეასრულებინა ბიჭებს, როგორც ამას ვაუკაცური და ულამაზესი ცეკვა „ფარიკაობა“ მოითხოვს. მერე შესვენება გამოაცხადა..

მისლის მიზეზი მოვახსენე. ჩაფიქრდა. დღეს არ მცალიაო, მითხრა და იმ დღეს მოსაგვარებელი ყველა სამსახურებრივი საკითხი ჩამომითვალა. მეორე დღეს ძველით ახალი წელი იყო და თავისთავად მოიხსნა შეხვედრის საკითხი. თხუთმეტში კი ყველა ჩემი აღზრდილი მესტურმრება და მერწმუნეთ, აქედანვე ველავო, — მითხრა გულწრფელად. — მაგრამ თექვსმეტში აღარავის გავიკარებ, საღამოს აუცილებლად შეეხვდეთო, — დამამშვიდა, რადგან შეწუხება შეატყო. ვუთხარი, რომ მისი დაბადების დღეს, ცხრამეტ იანვარს გვინდოდა გაზეთით მიგველოცა იუბილე. იუარა, გულით მთხოვა იუბილეს სახეს ნუ მისცემთო, რადგან ახლა არც ამისი დროა და არც პირობები, არც არავისა აქვს ამისი განწყობა და, რაც მთავარია, თვითონაც არ მიყვარს იუბილეს თანმხლები ფაციფუცი და უსასრულო მილოცვები. მით უფრო, თუ ზოგიერთი ამას უსულგულოდ და პირფერობით აკეთებსო. სხვა გზა არ იყო, თექვსმეტში შეხვედრაზე შევთანხმდით.

სასტუმრო ოთახში ვსხედვართ. წინ კედელზე ქეთევან მაღალაშვილის მიერ შესრულებული უმშვენიერესი პორტრეტი ჰკიდია. მასპინძლისა. თვალს ვერ ვაცილებ მშვენიერ ქართველ ქალს, უდიდეს მოცეკვავესა და ქორეოგრაფს.

— აკი გითხარით, არ მიყვარსმეთქი საიუბილეო ხმაური და ქოთქოთი, ჩემზეც ისეთი რა უნდა გითხრათ, გაკეთებულზე, საქმეზე ვიტყვი და, ალბათ, ამით გამოჩნდება ვინა ვარ და რა გავაკეთე, რითი და როგორ ვუერთგულე, ვემსახურე სამშობლოსა და ქართველ ხალხს. ბრძნულად და ჭკვიანურად არის ნათქვამი, საქმემან შენმან წარმოგაჩინოსო. სისადავესა და უბრალოებას ამ ქვეყნად არაფერი სჯობს. ვფიქრობ, ამაზე უკეთეს საზომსა და საფასურს სხვამხრივ ვერ დავიმახურებ. უპირველესად, იმას ვიტყვი, რომ ისე მეჩვენება, თითქოსდა ანსამბლის ყველა წევრში, ძველშიც და ახლანდელშიც, რაღაც ჩემეული ჩავდე და კარგ მოცეკვავედ ჩამოვაყალიბე. იმასაც ვიტყვი, რომ ყველაზე დიდი სიხარული და ბედნიერება ჩემთვის ეროვნული ქორეოგრაფიის, ქართული ცეკვის ის დიდი მოწონება და აღიარებაა, რასაც ყოველთვის მიაგებენ საქართველოშიც და უცხოეთშიც. ამიტომაც, ყველა ჩვენს მოცეკვავეს უდიდესი სიყვარულითა და მადლიერებით ვიხსენებ, ყველას სამადლობელს მივაგებ თანადგომისა და ერთგულებისათვის, თავდადებისათვის, ქართული ცეკვის იმ სიმაღლეზე აყვანისათვის, რასაც ჩვენ ყველამ მივაღწიეთ. ერთ-ერთ პირველს, დიდ მხატვარს სოლიკო ვირსალაძეს დავასახელებ, რომელიც ანსამბლის დაარსებიდან მუშაობდა ჩვენთან. მან უმდიდრესი, ზედმიწევნით დახვეწილი კოსტიუმები შეგვიქმნა. ამას ყოველთვის აღნიშნავდნენ ყველგან, სადაც კი ანსამბლს გამოსვლა მოუხდა.

ახლა საკუთარ თავზე მოგახსენებთ: თუკი რაიმე წარმატება და ღირსსახსოვარი შემხვდა ცხოვრებაში, ყველაფერს ილიკოს სახელს ვუკავშირებ. თუ არა ეს ბრწყინვალე ხელმძღვანელი და ორგანიზატორი, ჩვენი ანსამბლი ვერ შეიქმნებოდა და, ალბათ, ქართულ ქორეოგრაფიასაც არ ეყოლებოდა ამდენი თაყვანისმცემელი და დამფასებელი. იგი ნამდვილად ვალმოხდილი გადავიდა სამუდამო სასუფეველში.

ხშირად მეუბნებიან, რომ მეც მნიშვნელოვანი წილი მაქვს იმ წარმატებაში, ქართულმა ქორეოგრაფიამ რომ მოიპოვა მსოფლიოში. მე კი, უბრალოდ, მიმაჩნია, რომ საყვარელ საქმეს ვმსახურებდი. სწორედ ამ საქმემ გადამარჩინა და ცხოვრების ბევრი უსიამოვნებისგან, მწარე დღეები გადამატანინა. მთავარი კი ის იყო, რომ ცეკვით გამოვხატავდი და უცხო ხალხებს გადავცემდი ჩემი ერის ისტორიას, სულსა და ჩვეულებას, კულტურას. დღესაც მე და თენგიზი იმის ფიქრში ვართ, ოდნავადაც არ დავცილდეთ ქართული ცეკვის, ეროვნული ქორეოგრაფიის უძველეს ფესვებს. ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი სიმდიდრეა ენა, მამული და სარწმუნოება, სამშობლოს უდიდესი სიყვარული, რამაც უამრავი ჯურის მომხდურთაგან დაგვიფარა და გადაგვარჩინა. ამას ყველაფერს უძველეს ლიტერატურას, ხალხურ ცეკვასა და სიმღერასაც დავუმატებდი. განა შეიძლება მათს გარეშე ჩვენი ისტორიის წარმოდგენა?

იმაზეც მინდა ვთქვა, რომ ჩვენმა ანსამბლმა დიდი ზეგავლენა მოახდინა კავკასიის სხვა ხალხებზე, რომლებსაც ეროვნული ქორეოგრაფიის წარმოჩინის სურვილი გაუჩნდათ. ჩვენმა შემხედვარეებმა უცხოეთშიც

მუშვენიერი ქართველი ქალი

ბევრგან მოინდომეს ხალხური ცეკვების აღორძინება და სხვათათვის გაცნობა. ამასთან, ქართული ცეკვების შესწავლაც კი მოისურვეს. სამაგალითოდ ვიტყვი, რომ ორი წლის წინათ თენგიზი საფრანგეთში ერთი თვის განმავლობაში ქართული ცეკვის ილეთებს ასწავლიდა პროფესიონალ მოცეკვავეებს. აღარაფერს ვამბობ ისრაელზე, სადაც ქართული ცეკვის ანსამბლები არსებობენ, უამრავი ნორჩი ებრაელი მონდომებით ეუფლება ჩვენებურ ქორეოგრაფიას. მათი ხელმძღვანელები ილიკოსთან დაეუფლნენ ქართულ ცეკვებს. დიდი მადლობა ამ მადლიერ ხალხს. ჩვენი ამგვარად დაფასებისათვის, ქართველების მიმართ გამოხატული ღრმა სიყვარულის გაღებისათვის.

• • •

უნდა ითქვას, რომ დაფასება და პატივი არსად აკლიათ ქართველ მოცეკვავეებს, მათს განუმეორებელ ხელმძღვანელს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ბოლო სამთვიანი ტურნეს დროს, ვაშინგტონში გამართული პირველი ტრიუმფული კონცერტის დასრულების შემდეგ, ამერიკელი სტუდენტების მომღერალთა გუნდი ქუჩაში ქართული სიმღერით შეეგება მოცეკვავეებს. „ცანგალა და გოგონას“ მოსმენით აღტაცებულმა მშვენიერმა ქართველმა ქალმა ვეღარ გაძლო და ცეკვით გადაუხადა მადლობა გულთბილ მასპინძლებს.

• • •

ეღიმება ამის გახსენებაზე მასპინძელს და მოპირდაპირე კედელზე ჩამოკიდებულ [illegible] საოჯახო ფოტოსურათებს [illegible] რებს. ალბათ ამბავი [illegible] თუ დინასტია ამართლებს, ვფიქრობ, რომ ეს დასაფასებელია და მოსაწონი. ამ მხრივ ბედნიერი ვარ, რადგან გვერდში მიდგას თენგიზი. მან ჩინებული სკოლა გაიარა ილიკოსთან, ყველა ის თვისება, ჩვეულ შეეთვისა, ჩვენს ანსამბლს რომ სჭირდება და გამოადგება. მაგრამ, ყველაზე მეტად უმცროსი ილიკოს მომავალი მახარებს, ალბათ, უფრო მაფიქრებს. იგი მოსკოვში, თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობს, კარგ სტუდენტად ითვლება, კარგად ცეკვავს და ვიცი, ღირსეული გამგრძელებელი იქნება დიდი პაპის საქმისა.

მეტს ვეღარაფერს ვიტყვი საკუთარ თავსა და საქმიანობაზე, რადგან ახლა მთელს ერს უამრავი საფიქრალი და გასაკეთებელი გვიძევს წინ. გვიჭირს ყველას, მძიმე განსაცდელშია სამშობლო, ახლა გვმართებს გონიერება და ერმანეთის გატანა, ერთად ამოქმედება საერთო სურვილის შესასრულებლად. ქართველების ბუნებაში არასდროს იყო სხვათა დაჩაგვრა ან მტრობა, ყოველთვის ყველას მიმართ უზომოდ შემწყნარებლები და მიმტევებლები ვიყავით. მიმაჩნია, რომ გულკეთილობა და მოწყალება არასდროს არ უნდა იყოს ზედმეტი, მაგრამ იგი ცუდად არ უნდა შემოგვიბრუნდეს, როგორც ეს ადრეც ბევრჯერ მოგვსვლია და ვერც ახლა გადავრჩით.

• • •

გამახსენდა: 9 აპრილის წინა დღეებში რუსთაველზე თავდახრილი, დაღვრემილი მიუძღოდა დიდი ქალბატონი ანსამბლის წევრებს. მთავრობის სახლთან, მიტინგზე მიიჩქაროდნენ. იქ ტაში და ოვაცია შეაგებეს შეკრებილებმა, მერე ის საშინელი დღეც დაგვიდგა.

• • •

აპრილის იმ დღის გამთენიის ჟამს ისეთი უბედურება დაგვატყდა ქართველებს, რომ არ ვიცი როგორ და რა ფორმით, რა სიტყვებით გამოვთქვა. აბა რა უნდა ვთქვა, სამშობლოს თავისუფლებაზე, დამოუკიდებლობაზე მეოცნებეებს სანთელანთებულებს, სიმღერითა და ცეკვით მლოცველებს ასე არაადამიანურად გაუსწორდნენ. გამუტმეებით ჩამესმის ყურში იმ უსინათლო ქალის სიმღერა და საშინლად მზარავს იმის წარმოდგენა, თუ როგორი ტრაგედია დაატყდათ თავზე რამდენიმე წუთის შემდეგ მოედანზე შეკრებილთ. ღმერთმა ყველა დაიფაროს ასეთი ბარბაროსობისაგან.

მინდა ჩემს ხალხს ვუსურვო იმ ნატვრის, იმ ოცნების ასრულება, ასე რომ გვინდა, გვეჩქარება ყველას. და, დარწმუნებული ვარ, მალე დაგვიდგება ის ბედნიერი დღე, ყველა ერთად რომ ვიტყვით: თავისუფლები და დამოუკიდებლები ვართო. დამიჯერეთ, ეს მალე მოხდება, ამის იმედს მაძლევს თუნდაც ის ნუთები, ახალი წლის ღამეს უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II რომ ტელეეკრანიდან დაგვლოცა, ყველას ერთად ფეხზე ადგომით გვათქმევინა ლოცვა. მე ვერ წარმოვიდგენ ქართველს, რომელიც იმ წმინდა სიტყვებს არ იმეორებდა, რადგან უწმინდესმა ჩვენთვის უმთავრესი და საანტრელი გვაუწყა — გოლგოთა გაკლილია, წინ კი ამაღლება და გაბრწყინება მოგველისო,

მერე თეთრმა რაშმა ჩამოგვიტანა და ჭიხვინით გვამცნო ბედნიერი მომავლის მოახლოება. ღმერთმა უსმინოს მშვენიერ ქართველ ქალს, დიდ ქალბატონ ნინო რამიშვილს და აგვისრულოს ნატვრა, შეისმინოს ჩვენი ლოცვა-ვედრება.

გელა ჯილაური.

სურათზე: ნინო რამიშვილი რეპეტიციაზე.

სიმონ კილაძის ფოტო.

თბილისში

ბევრ ადამიანს ეგონა, ალბათ, ეს ამბავი ზღაპარია, ალბათ, ეს ამბავი ბაბილონურ ენაზეა, ალბათ, ეს ამბავი ბაბილონურ ენაზეა, ალბათ, ეს ამბავი ბაბილონურ ენაზეა